

ქვეყნის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქვეყნის 62

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND
CULTURAL MONUMENTS





ნიჩნისის ეკლესია. ფრამენტო.

Церковь в сел. Ницниси. Фрагмент.

გარეანზე — ტიმოთესუბანი, XII-XIII სს. მიწა.

На обложке — Тимотесубани, Рубеж XII—XIII вв.

სარია: „მატირიალური კულტურის ძეგლები“



ქ ე გ ლ ი ს ქ ე ო ლ ი ს ქ ე ო ბ ა რ ი

ქართული საბჭოთაო დემოკრატიული რესპუბლიკა

შინაარსი

რუსულან მემისაშვილი — VIII-IX საუკუნეების სამეფეხიანი ბაზილიკა სოფ. ცხვარჩაშიაში	5
ჯუშუბარ სალინაძე — გონის ბაზილიკა	13
ანზორ ძალღანი — თორღვას ციხე მუცოში	14
ნოზარ ცანავა, ნანული თოღუა, ლევან თოფურბა, მარინე ბამარაშვილი, ნარინა შილაპაძე — ბორჯომის „მწვანე მონასტრის“ ბოტანიკური ეროზიის გამოწვევა მცე-	
ნარევი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები	22
ჯონი ბუაძე — ახლად აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულები აფხაზეთიდან	24
პანისალომ ტალუში — ერთი წარწერის წაკითხვა-დათარიღებისათვის	25
რამო ხვისტანი — საბუქდუი თავილიდან	26
თამარ ბიბილიანი — საინტერესო სამარხული კომპლექსი მცხეთიდან	29
თამარ პარაშვილი — სარაჭლოს ვერცხლის მონეტები	34
ტარიელ ნაცვლიშვილი — მეფეების მეორე რესპუბლიკური გამოცემა	47
ზაზა სინარულიძე — უდაბნო	50
ვიან პაპიაშვილი — ნიზნის ეკლესია	53
ლავით კაცინაძე — სოფელ ზოტევის ისტორიიდან	55
პაპაშვილი ნიკო კაცინაშვილის ხსოვნას	59
ჯიშუბარ კანკინაშვილი — მათი საქმიანობა მისხაშია	62
ანტიკაუბი რუსულ და ინგლისურ ენებზე	64-79

СОДЕРЖАНИЕ

Р. МЕПИСАШВИЛИ — Трехцерковная базилика в сел. Цхваричамна	5
Дж. САГИНАДЗЕ — Базилика Гони	13
А. КАЛДАНИ — Замок торгва в Муцо	16
Н. ЦАНАВА, Н. ТОДУА, Л. ТОПУРИЯ, М. ГАМКРЕЛИДЗЕ, Н. ШИЛА-КАДЗЕ. Растения, вызывающие биотическую эрозию «Мцване мона-стеры» (Зеленый монастырь)	22
Дж. АПАКИДЗЕ — Новые находки бронзовых топоров в Абхазии	28
А. ТУГУШИ — О расшифровке и датировке одной надписи	35
Р. ХВИСТАНИ — Перстень-печать с изображением Ахиллеса из Тагилони	36
Т. БИБИДУРИ — Интересный погребальный комплекс из Мцхета	39
Т. АБРАМИШВИЛИ — Клад из села Сарачло	44
Т. НАЦВЛИШВИЛИ — Вторая республиканская выставка медалей	47
З. СИХАРУЛИДЗЕ — Удабно	50
Б. ПАПАШВИЛИ — Церковь в селе Ничбиси	53
Д. КАЦИАДЗЕ — Из истории села Хотевы	55
Памяти академика Н. Н. Кеңховели	60
Аннотации на русском и английском языках	64-79

VIII-IX საუკუნეების სამეკლესიანი ბაზილიკა
სოფ. ცხვარიჭამიანი

1979 წლის აპრილში ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები — მერაბ ჭელიძე, მერი მამარდაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი გავემგზავრეთ ცხვარიჭამიასა და მის მახლობლად მდებარე ძეგლების დაზვერვა-შესამონმებლად. სხვა ძეგლთა შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო სოფ. ცხვარიჭამიას თავზე აგებულმა და ხშირ ტყეში ჩამალულმა ღვთისმშობლის ეკლესიამ, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „დიდ საყდარს“ ეძახის. ეს სახელი მას შეერქვა არა იმიტომ, რომ ის მართლაც დიდია, არამედ იმისთვის, რომ იგი უფრო დიდია მეორე ეკლესიაზე, რომელიც მის მახლობლად დგას და წმ. გიორგის ან „პატარა საყდრის“ სახელს ატარებს. ეს სახელები შეპირობებულია ალბათ იმითაც, რომ „დიდი საყდარი“ წარმოადგენს სამეკლესიან ე. ი. სამნაწილიან ეკლესიას, ხოლო „პატარა საყდარი“ დარბაზული ეკლესიაა, სამხრეთის მინაშენით.

ორივე ეს ძეგლი, ისევე როგორც შემდეგ წელში მიგნებული რამოდენიმე კმ-ით დაშორებული სოფ. კველიანის ღვთისმშობლის ეკლესია და სოფლის გარეთ მდებარე ე. წ. „ბნელი საყდარი“, ამ დარგის სპეციალისტათვის მანამდე უცნობი აღმოჩნდა. ჩვენი წინადადებით, „დიდი საყდარი“, როგორც ფრიად საყურადღებო ნაგებობა ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიერ სარესტავრაციო სამუშაოთა გეგმაში იქნა შეტანილი. შემდეგ მას მიემატა „ბნელი საყდარიც“. დაიწყო ძეგლების შესწავლა, აზომვა, შედგარესტავრაციის, პროექტი არქიტექტორ-რესტავრატორების დიმიტრი ბერძენაშვილისა და თამარ მჭედლიშვილის მიერ.

ცხვარიჭამიას „დიდი საყდარი“ მიეკუთვნება საქართველოში გავრცელებულ სამეკლესიან ბაზილიკების ტიპს. ამ ძეგლებს დიდი ხანია, რაც გ. ჩუბინაშვილმა მიაქცია ყურადღება, გამოყო ისინი ცალკე ჯგუფად და დაადგინა წარმოშობისა და განვითარების თავისებურებანი. ავტორი ამ თემას VI საუკუნის პირველ ნახევარში წარმოშობილად მიიჩნევს. აღნიშნულ დროს დარბაზულ ეკლესიას გაუჩნდა გვერდის სათავსები, საკუთარი აბსიდებით და ნაგებობამ სამეკლესიანი ანუ სამსაკურთხეველიანი სახე მიიღო, VI-ს ხდება გვერდით ეკლესიების დაკავშირება დასავლეთის სათავსოთი და საბოლოოდ ყალიბდება სამეკლესიანი ბაზილიკის თემა. რომელიც იღებს მეორე სახელწოდებას დარბაზული ეკლესიისა სამხრეთი გაშემოსავლით.¹

ეს თემა ფართო გავრცელებას პოულობს VI-VII საუკუნეთა განმავლობაში. ამ პერიოდში ძეგლები სრულ მხატვრულ გამომსახველობას აღწევენ. VIII-IX და X საუკუნეებში სამეკლესიანი ბაზილიკების მშენებლობა გრძელდება. ამ პერიოდის ძეგლების საინტერესო და მნიშვნელოვანი მაგალითები გვაქვს. XI საუკუნიდან ეს თემა თითქოს ქრება და შემდეგ XIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIV ს-ში ისევე ჩნდება ცალკეული მაგალითების სახით.



ცხვარიაშია. გუმბათი. დასაუღეთის
გარშეშოსავლელი.

Цхვარიაშია. Купол.
Западный обход.

სამეკლესიოანი ბაზილიკები აღნიშნული პერიოდის მანძილზე გარკვეული ნიშნებით ხასიათდება. ამ თვისებების გათვალისწინება და ცხვარიჭამიას „დიდი საყდრის“ თავისებურებათათვის თვალის გადავენება ძეგლის აგების თარიღის დადგენის საშუალებას მოგვცემს.

ეკლესია დგას მთის წვერზე. ადგილი შემოსნორებულია და 2,5 — 3 მეტრის სიმაღლის, რიყის ქვით ნაგებ საყრდენი კედლით არის შემაგრებული. შესასვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდანაა. კედელი და შესასვლელი დაზიანებულია. ეკლესიიდან აღმოსავლეთით, რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე შენობათა კვალი ჩანს.



ცხარიაკამია. ინტერიერი. ხედი აბსიდაზე.

Цхварიაკამია. Интерьер.
Вид на абсиду.

„ძეგლის“ გარეგანი ზომები 9,20 მX7,5 მ. უდრის, ე. ი. ეს არის საშუალო ზომის ეკლესია. მას აქვს შუა მაღალი, კამარით გადახურული სივრცე რომელსაც სამივე მხარეს გარშემოსავლელი ესაზღვრება. შუა ეკლესია ძალიან მაღალი და მოხდენილი „პროპორციებისაა. ტრიუმფალური თალი და აბსიდის კუთხეები მცირე ნაშევრით არის გამოყოფილი ძირითად სივრცეა. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს ორ-ორი კედლის თალი ამკობს. მათ შუა ფართო, ბრტყელი პილასტრია ამოყვანილი. შუა ეკლესია ნათდებოდა ორი ვიწრო, შიგნისაკენ მცირედ გაგანიერებული სარკმელით, აღმოსავლეთის და სამხრეთის მხარეს. აღმოსავლეთის სარკმელი საგანგებოდ მაღალია.

ნაგებობის გარშემოსავლელი წარმოადგენს მთლიან, დაუნანევრებელ სივრცეს, მხოლოდ ჩრდილოეთის მონაკვეთში გამოყოფილია სამკვეთლო,



ცხვარეამია. ინტერიერი. შუა ეკლესია.
სამხრეთის კედელი.

Цхвареамаია. Интерьер.
Средняя церковь. Южная стена.

შუა ეკლესიასთან კარით დაკავშირებული. გარშემოსავლელის სამხრეთის მონაკვეთი აღმოსავლეთით მცირედ გაგანიერებულია და კამარის სართავი თალით არის აღნიშნული. იგი ნათდება მცირე სარკმელით. არც ამ მონაკვეთს და არც სამკვეთლოს აბსიდი არ გააჩნია.

გარშემოსავლელის დასავლეთის მონაკვეთი, ორჯერ უფრო განიერია სამხრეთისა და ჩრდილოეთისაზე. მისი სიმაღლე თითქმის ეკლესიის კამარის სიმაღლეს აღწევს. იგი გადახურულია ორ საბჯენ თაღს შორის მოთავსებულ ტრომებზე დაყრდნობილი გუმბათით (გუმბათის ფუძე ოვალურია). გუმბათის ზედაპირს ქვის ნყობაში გამოყვანილი ჯვარი ამკობს. ჯვრის მკლავები ვერდნობა იმპოსტებს, რომლებსაც ვიწრო თაროს და ქვედა ფართე, ოდნავ მომრგვალებული სიბრტყის ფორმა აქვს. ასეთია ძეგლის ყველა იმპოსტი.







ცხარიაშია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

Цхварияშია.
Вид с северо-востока.

ნაგებობას ჰქონდა ორი შესასვლელი — ერთი სამხრეთით ორმალიანი, მრგვალი სვეტიტ შუაში და მეორე კარი გარშემოსავლელის ჩრდილოეთის მხარეს, რომელიც ადრევე ამოქოლეს.

ძეგლის შუა ეკლესია ორფერდა სახურავით იყო გადახურული. ამავე სახურავის ქვეშაა მოქცეული გუმბათი. სამხრეთ და ჩრდილოეთ მონაკვეთებს ცალფერდა სახურავი ფარავდა.

ნაგებობის ფასადთა მორთულობას შეადგენს შუა ეკლესიის აღმოსავლეთის და სამხრეთის სარკმელთა სათაურები. აღმოსავლეთის სათაურის კიდურები ზევითაა აწეული და ოვალური ფორმა აქვთ. თალის თავზე ნაწვეტებული მოხაზულობის ფიგურაა ამოკვეთილი. შესაძლოა ეს არის სამი ჯვრის კომპოზიციის თავისებური გამარტივებული გამოსახვა. სამხრეთის სარკმელს სადა სათაური უვლის. ძეგლმა შემოგვინახა კარნიზის ფრაგმენტები, თაროს ფორმისა.



1. გეგმა. 2. გრძივი განაკვეთი. 3. განივი განაკვეთი. 4. სამხრეთის ფასადი. რეკონსტრუქცია.

1. План. 2. Продольный разрез. 3. Поперечный разрез. 4. Южный фасад. Реконструкция.

ცხვარიჭამიას, ეკლესიის მშენებლობისათვის სამგვარი მასალა გამოყენებული: რიყის ქვა — კედლების, კონქის, გუმბათისა და კამარებისათვის; შირიმით გამოყვანილია შენობის კუთხეები, კამარის სართავი თალები, კარ-სარკმელები, გუმბათის ჯვარი და ტრომპების თალები, შირიმისაა იმპოსტებიც; აგური მოხმარებულია კედლის თალებისათვის. წყობა ფასადებზე ზომით შერჩეული რიყის ქვებით და პორიზონტალური რიგების დაცვით არის შესრულებული. შიგადაშიგ შირიმია ნახმარი. შიგნით კედ-



ლის წყობა მოკლებულია ამ სიმკვეთრეს. აქ შირიმის გარდა აგურს ვხვდებით.

ნაგებობამ საგრძნობი დაზიანება განიცადა. თითქმის მთლიანადაა ჩაქცეული შუა ეკლესიის კამარა, დაზიანებულია კედლების ზედა ნაწილებიც. სამხრეთი სარკმლის სათაური მინაზე დევს. გარშემოსასვლელის სამხრეთი კედლების და კამარის უდიდესი ნაწილი აღარ არის. ორმალიანი შესასვლელიდან დარჩენილია მხოლოდ შუა I მ. სიმაღლის სვეტი და მისი ოთხკუთხა ბაზისი. აღარც სვეტის თავი და აღარც თალები ადგილზე არ არის. დაზიანებულია გარშემოსასვლელის ჩრდილოეთის მონაკვეთიც. სამკვეთლოს აღმოსავლეთის სარკმელი შერჩენილი არ არის. დასავლეთის კედელში ხვრელია გაჩენილი ამ ბუნების წყალობით მიღებულ დაზიანებათა გარდა, „დიდმა საყდარმა“ სხვა მნიშვნელოვანი დაზიანებაც განიცადა. მისი ცხოვრების რომელიღაც პერიოდში, როდესაც შუა ეკლესიის ზომები აღარ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლებში გამოიღეს უსწორო თალების მოხაზულობის ლიობები და ამით შუა სივრცე გვერდითი სივრცეების ჩართვით გაზარდეს. ლიობების შემაგრება შემდეგ აღარ უცდიათ. ამის შედეგად დასავლეთის კედელში გაჩნდა ბზარი. დაიკარგა დასავლეთის კარი (კარის ადგილის დადგენა იქნებ მოხერხდეს ძველის ნაყარი მინისაგან განმენდის შემდეგ). გრძივ კედლებზე ამ ლიობებმა მოკვეთეს პილასტრების ქვედა ნაწილი და სამხრეთის კარიც გაიყოლიეს. ნაგებობის დასავლეთის კედელში ახალი კარი გაჭრეს.

ძველი გარედან ძლიერ დაზიანებულია. მოპირკეთება მხოლოდ ზედა ნაწილშია შერჩენილი, ისიც არა ყველგან, ქვევით კი ქვების უმეტესი ნაწილი ამოკვენილია.

ცხვარიქამიას „დიდი საყდარი“, კვარცხლბეკზე შემდგარი, თვით მაღალი პროპორციებით, მისვლისთანავე ტოვებს შთაბეჭდილებას. გარედან ძველი სადაა, მაგრამ აქ კედლის წყობაა მეტყველი. პარადულობას ანიჭებს ნაგებობას ორთაღოვანი შესასვლელი. ნიჭიერი, ახლის მაძიებელი ხუროთმოძღვარი განსაკუთრებულ ყურადღებას ინტერიერის გადაწყვეტას აქცევს. შიდა სივრცე ზევითკენ მცირედ ვიწროვდება. ამ ფორმას ჰარმონიულად ეხმოვანება აღმოსავლეთის, ჩვეულებრივზე მაღალი და აგრეთვე ზევითკენ შევიწროებული სარკმელი. აბსიდის თალი ზედა ნაწილში ფართოა, ქვევით კი ვიწროვდება და იმპოსტების გარეშე აბსიდის კუთხეებს უერთდება. აბსიდის კუთხეები, აგრეთვე თანდათან ვიწროვდება და კედლის თალების იმპოსტების დონეზე შეერწყმიან კედლებს. საყურადღებოა, რომ კედლის თალების იმპოსტები ამ მხარეს აღნიშნული არ არის. ამით ზევით ატყორცნილი აბსიდის მომჩარჩოებელი ხაზების დინება ზემოდან ქვევით უწყვეტივ ეშვება. ამ თითქოსდა უბრალო, მაგრამ თავისებურ, მახვილ გადანწყებაში ჩვენს წინ დგას ცხოველხატული ეფექტების მაძიებელი ხუროთმოძღვარი. სივრცე გაცხოველებულია გულდასმით გადაყვანილი აგურის თალებით, რომლებსაც თავისთავადი მხატვრული მნიშვნელობა უნდა უქონოდა ინტერიერის გაფორმებაში. ეს თალები შეუღესავად იქნებოდა დატოვებული. სხვა შემთხვევაში ისინი შირიმით იქნებოდა გადაყვანილი.



განსახილველი ძეგლის ზოგი თავისებურება მას ადრეულ VI-VII საუკუნეებთან აკავშირებს, ზოგი კი გარკვევით აშორებს ამ პერიოდს და VIII-IX საუკუნეთა ხანაზე მიუთითებს.

ძეგლი კახეთის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელია.

„დიდ საყდარს“ აქვს VI საუკუნეში ჩამოყალიბებული სამეკლესიანი ბაზილიკა. გეგმა ჩრდილოეთით გამოყოფილი სამსხვერპლოთი და სამხრეთით ორმალიანი შესასვლელით. ძეგლს ამ პერიოდთან აახლოებს შუა ნავის მაღალი პროპორციები, გვერდით ეკლესიებში აბსიდების უქონლობა და რიყის ქვით შესრულებული, სწორ რიგებად დალაგებული წყობა ფასადებზე. მაგრამ ყველა ეს თავისებურება სცილდება VI-VII საუკუნეებს და მომდევნო ხანაშიც გვხვდება; ასეთია ინტერიერის გაფორმება აგურით გამოყვანილი დეტალებით. IX საუკუნის შუა ხანის აკურის მამა-დავითში პილასტრებს აგურის ლილვები აქვს აყოლილი. ცხვარიჭამიაში კედლების ორ მცირე თაღს შორის თითქმის მათივე მაღლის სიგანის პილასტრია ამოყვანილი და სამხრეთის პილასტრში — კონსტრუქციული მნიშვნელობის მქონე ელემენტში — კარია გაჭრილი. ასეთი გადანყვება აშორებს ძეგლს ფორმათა აგებულების კლასიკური წარმოდგენების ეპოქას. იგი გარდამავალი პერიოდის ოსტატის საკუთარი გააზრებითაა ნაკარნახევი.

ცხვარიჭამიას ძეგლი სხვა სამეკლესიან ბაზილიკებიდან ყველაზე მეტად გამოირჩევა გარშემოსავლელის დასავლეთის მონაკვეთის გადანყვევით, რომელსაც მაღლა აზიდული ტრომპებზე დაყრდნობილი და ჯვრით წყობაში გამოსახული გუმბათი აქვს. გუმბათის არეზე ჯვრის გამოსახვა VI-VII საუკუნეებში მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარში, სამწევრისში, ატენის სიონში, შემდეგ VIII ს-ში თელოვანის ჯვარპატიოსანის და IX საუკუნის ქსნის კაბენის ძეგლებში გვხვდება. მატანის ცხრაკარას და ახმეტის ღვთაების VI საუკუნის ბაზილიკების სამხრეთის მონაკვეთებს ჯერებით შემკული მცირე გუმბათები აქვთ. ორივე ძეგლის გუმბათები სიმაღლით გვერდის ნაევების სიმაღლეს უსწორდება. მატანში გუმბათით გადახურული მონაკვეთი შესასვლელი კარის წინაა მოქცეული და ამით იგი კარიბჭის მნიშვნელობას იძენს. ცხვარიჭამიაში თაღების თავზე კედლებია ამოყვანილი. ამით გუმბათი ზევითაა აწეული და გარშემოსავლელის დასავლეთის ნაწილი სივრცობრივად გამოყოფილია გვერდითი მონაკვეთებისაგან. მოსალოდნელი იყო, რომ გუმბათი ნაგებობის გარეგან ფორმებშიც იქნებოდა გამოვლენილი. შეიძლება სარკმელებიც ჰქონდა, მაგრამ მსგავსად VIII-IX სს.-თა წირქოლის და კაბენის ძეგლებისა ცხვარიჭამიას გუმბათი ორქანობიანი სახურავის ქვეშაა მოქცეული.

აღსანიშნავია, რომ ძეგლს დასავლეთის კარი არ ჰქონდა. „დიდი საყდრის“ აღნიშნული თავისებურება ნაწილობრივ ანალოგიას პოულობს ერედვის 906 წელს აგებულ სამეკლესიან ბაზილიკის აღმოსავლეთის მონაკვეთის გადანყვევასთან, სადაც შუა ნაწილი ამბლლებული და გადახუ-

რულია განივი კამარით. ეს ნაწილი კარით მხოლოდ გარშემოსავლელს სამხრეთის ნაწილს უკავშირდება.

და ბოლოს ჩვენი ნაგებობისათვის ერთდროულად რიყის ქვის, შირიმის და აგურის მოხმარება გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევით კახეთის VIII-IX ს-თა ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. ასევე დამახასიათებელია კახეთისათვის რიყის ქვის, როგორც ძირითადი მასალის გამოყენება და ამ ქვით ფასადთა მოპირკეთება. ეს წყობა VI-VII საუკუნეების ძეგლებში მაღალმხატვრულ ოსტატობამდეა მიყვანილი, რასაც ცხვარიჭამიას მშენებელი, ისევე როგორც სხვა მომდევნო ხანის ოსტატები უკვე ვეღარ აღწევენ.

როგორც ვხედავთ, ცხვარიჭამიას „დიდი საყდარი“ ძიებით აღსავსე ეპოქას, ე. ი. VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება. ამრიგად კახეთის მრავალი შესანიშნავი ძეგლების რიგს ემატება კიდევ ერთი საინტერესო და თავისებური მაგალითი.

1. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936 წ. გვ. 65.
2. Архитектура Кахетии, Тб., 1959 — стр. 141.

ჯუმბერ საღინაძე

გონის ბაზილიკა

ცაგერის რაიონში, სოფ. ტვიშიდან 5 კმ. დაშორებით, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, მაღალი ტყით დაფარულ გორაკზე, მდებარეობს ძველი ეკლესია. მას აქ არსებული სახნავ-სათესი ადგილის სახელის — გონის მიხედვით, ხალხი „გონის ეკლესია“ ეძახის, ძეგლი კი ერთნავიანი ეკლესიის ტიპის ნაგებობაა. მისი არსებობის შესახებ სპეციალისტებმა დღემდე არაფერი იციან. თვით ე. თაყაიშვილსაც 1910 წელს ლეჩხუმ-სვანეთში მოგზაურობის დროს, არ უნახავს იგი. ასევე ცნობილმა არქიტექტორმა მ. კალაშნიკოვმა, რომელმაც 1945 წელს, ლეჩხუმის მატერიალური კულტურის ძეგლების ნახაზები შეადგინა, არაფერი იცის გონის შესახებ. არც ძველი ისტორიული წყაროები იძლევიან მასზე რაიმე ცნობას.



გონის ბაზილიკა (საერთო ხედი).

Базилика Гори (общий вид).

გონის ტერიტორია დღესაც გამოყენებულია სახნავ-სათესად და საძოვრად. მაღალ გორებს შორის მოქცეული, ამ ვრცელი ვაკის ირგვლივ ფოთლოვანი ტყის დიდი მასივებით — იგი ესაზღვრება ოკრიბას და ზემო იმერეთს. ერთ-ერთი უძველესი გზა იმერეთიდან და თვით ქ. ქუთაისიდან რაჭა-ლეჩხუმში გონზე გადიოდა, რომლის ნაშთები ახლაც არის შემორჩენილი.

ძველ დროში გონი დიდი სოფელი ყოფილა. მას საეკლერო და კულტურული ურთიერთობა ჰქონია დას. საქართველოს სამთავროებთან და მოსაზღვრე ქვეყნებთანაც. ამის უტყუარ მონმედ უნდა მივიჩნიოთ აქ ნახული კოლხეთისა და ბიზანტიის სამეფოთა მონეტები მათ შორისა რომის იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტეს ვერცხლის მონეტები. ე. წ. ქართული მინაბადები მათ სპეციალისტები VI საუკუნით ათარიღებენ, აგრეთვე ლითონის სამკაულები და კერამიკული ნაწარმი, რომლებსაც აქ მინის დამუშავების დროს პოულობენ.

თვით სიტყვის — „გონის“ ეტიმოლოგიაც უნდა იძლეოდეს იმის საფუძველს, რომ ეს სახელწოდება, ამ ძველ ნასახლარს, იმ დროს მიუღია, როცა აქ მდ. რიონის ამ ზონაში ზანები ცხოვრობდნენ (VIII საუკუნემდე).

ტერმინი „გონი“ — მიღებული უნდა იყოს ზანურ „ყონი“ — საგან, რაც სახნავ-სათეს ადგილს ნიშნავს. ასევე „ყონი“ — საგან უნდა იყოს ნაწარმოები სხვა ქართული ტოპონიმებიც, როგორცაა „ონი“, „ხონი“... და ა. შ.



თვით გონის ბაზილიკა დიდი არ არის. ნაგებია ადგილზე მოპოვებული ქვით და კირწყლით. გარედან პერანგად გამოყენებულია ე. წ. სპონტიოს თლილი ქვები. იგივე მასალაა გამოყენებული სახურავზე, შესასვლელი კარების კუთხეებში და კედლის თავზე სახურავქვეშ დატანებულ კოჭებადაც, რომელთა ბოლოები შესანიშნავი ცხოველების თავებს გამოსახულებას წარმოადგენდა (თქმულებით) ახლა ისინი ძალზე დაზიანებული და უფორმონი არიან.

ბაზილიკის გარეთ შესაჯალი კარის თავზე, თლილ ქვაზე ამოკვეთილია მარტივი ფორმის ქართული ჯვრის ძველი ნიმუშები და ზოგიერთ ცხოველთა სახეები.

ბაზილიკის შიგნით არის ქვის იშვიათი კანკელი წმინდანების გამოსახულებებით და ასომთავრული ქარაგმებით. კანკელი მდიდარია თეთრ ქვაზე კვეთილი ორნამენტების მრავალსახეობებით. ორნამენტები შედებილი ყოფილა მონითალო ფერის საღებავით, რომელიც დროთა განმავლობაში ბევრ ადგილას გადასულა.

როგორც ჩანს, კანკელი ადრე დაშლილა და ხელანლა აუნყვიათ. ამიტომ ზოგიერთი ქვის კვეთილობა და ორნამენტი თავის ადგილას ვერ ჩაუდგამთ. ბაზილიკის ირგვლივ ადრე შუა საუკუნეების სასაფლაოებია სავარაუდო. სპეციალისტების ვარაუდით და ჩვენი დაკვირვებით გონის კანკელი X-XI სს, ხოლო თვით ბაზილიკა VII-VIII სს ძეგლია. ამ საქმეში საბოლოო სიტყვას არქეოლოგიური მუშაობის ჩატარება მოგვიტანს.

დღეს პარტია და მთავრობა დიდ მზრუნველობას უწევს კულტურის ძეგლებს. იცავს მას ადამიანის და ბუნების ხელყოფისაგან და დიდ თანხებს გამოყოფს მათი გამაგრებისა და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებისათვის. ამ მუშაობის მიზანი ის გახლავთ, რომ ჩვენი ხალხის ამ უძველეს, სულიერ შემოქმედების უტყუარ მონუმენტს გაუხანგრძლივოთ სიცოცხლე და შემოუნახოთ მომავალ თაობებს. ან საზოგადოების განვითარების ისტორია, არასოდეს არ დაუბრუნდება ციხე-კოშკების, ეკლესია — მონასტრებისა და სხვათა მშენებლობას. ქართულ ბუნების სილამაზესთან შერწყმული მაღალ გორაკებზე აღმართული ამ ნაგებობების დაცვა თითოეულ მოქალაქის საპატიო მოვალეობაა. სასიხარულოა, რომ ამ საქმეს ბევრი უანგარო მზრუნველი ჰყავს.

გასულ წელს ტვიშის კოლმეურნეობამ (თავრე რ. ახვლედიანი) დიდი საქმე გააკეთა, როცა გონს, სოფ. ორხვიდან გაიყვანა 4 — კმ-ზე სამანქანო გზა — ახლა ჯერი არქიტექტორ-რესტავრატორებზეა. ამ მუშაობის დროულად დაწყებით კიდევ ერთ უძველეს ძეგლს გადავარჩინთ დალუპავს.

თორღვას ციხე მუცოში

სოფ. მუცოს განაპირას, მისგან ჩრდილო-დასავლეთით, მაღალი კლდის შუაწელზე კოშკი დგას, რომელიც „თორღვას ციხის“ სახელითაა ცნობილი. მისკენ ერთადერთი ძნელად მისასვლელი ბილიკი ადის არდოტის წყლის გასწვრივ გამავალი საგზაო კომუნიკაციიდან. კოშკს გაბატონებული მდგომარეობა უკავია ხსენებული კომუნიკაციის მიმართ. კავშირი სოფელსა და კოშკს შორის არ არსებობს. გადმოცემით კოშკი თორღვას ანატორიდან მოზიდული ქვით აუგია¹.

კოშკის კედლები ფიქალითაა აყვანილი კლდოვან გრუნტზე. შემკრავად კირის დულაბია გამოყენებული. კედლების სიგანე პირველი სართულის დონეზე 85 სმ აღწევს, ბოლოზე — 50 სმ.

კოშკს სარდაფის სართული გააჩნია.

პირველი სართულის სათავსში შესასვლელი კარი კლდოვანი გრუნტიდან დაცილებულია 2,40 მ-ით. კარის ლიობი ნაოთხალებიანია, ლიობის სიგანე — 90 სმ შეადგენს, სიმაღლე — 1,15 მ-ს. მას ნახევარწრიული თალი აგვირგვინებს. პირველი სართულის დონეზე სამხრეთის კედელში ერთი სათოფურია, რომელიც კოშკისაკენ ამომავალ ბილიკს გასცქერის.

მეორე სართულის დონეზე ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში თითო სარკმელია; აღმოსავლეთის კედელში ერთი სათოფურია, სამხრეთისაში კი ორი.


მესამე სართულის დონეზე კედლებს მთელ სიმაღლეზე დიდი ზომის ლიობები აგვირგვინებს (სიგანე იცვლება 1,25-1,55 მ. ფარგლებში სიმაღლეა — 1,60 მ.).

სარდაფისა და პირველი სართულის სათავსების ფართი ტოლია და თითოეული 3 მ² შეადგენს. მეორე სართულის ფართია 5,50 მ²; მესამისა — 5,90 მ². ზედა სართულებზე ფართი გაზრდილია ინტერიერის მხრიდან კედლების სიგანეების შემცირების ხარჯზე.

კოშკის კედლებზე შემორჩენილი ბუდეების მიხედვით სარდაფისა და პირველი სართულების სართულშუა გადახურვის დირეები ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს შორის ყოფილა გადაებული. პირველ-მეორე სართულებს შორის სართულშუა გადახურვის დირეები აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს ეყრდნობოდა, ხოლო მეორე-მესამე სართულებს შორის დირეები კვლავ ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებს შორის იყო გადაებული. სართულშუა გადახურვების დირეების ამგვარი განლაგებით სტატიკური და დინამიკური დატვირთვები თანაბრად ნაწილდებოდა ოთხსავე კედელზე. კოშკი ბანით ყოფილა გადახურული.


სარდაფის სავარაუდო სიმაღლე — 1,90 მ შეადგენს. პირველი სართულის სიმაღლე 3,85 მ-ია, მეორის — 3,50 მ., მესამისა — 2,30 მ. კოშკის საერთო სიმაღლე კარის მხარეს 11,75 მ-ია.

აღწერილი კოშკი ა. ყაშარაულის ცნობით სოფ. მუცოს მისადგომებს იცავდა.²



თორღვას ციხე. გეგმა.

ЗАМОК Торгова. План.



თორღვას ციხე. კრძლი.

ЗАМОК Торгова. Разрез.


მუცოს ზედა ტერასა კლდოვან პლატფორმას წარმოადგენს. მას „ბროლის კალოს“ უწოდებენ. „ბროლის კალოს“ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ზღუდის კედლის ნარჩენებია, რომელშიც ვინრო გასასვლელია დატოვებული. ბილიკს ტერასის ბოლოში გავყავართ, სადაც თორღვას სახელთან დაკავშირებული კოშკურა საცხოვრებელი (ციხე-სახლი) ამართულა. მას სამი მხრიდან უფსკრული აკრავს. ნაგებობა სამსართულიანია.

კედლის წყობა აყვანილია კედლის მოსწორებულ ზედაპირზე. წყობაში ძირითადად ფიქალია გამოყენებული. ქვების დასაკავშირებლად კირის დულაზია ნახმარი. პირველი სართულის დონეზე კედლების სიგანე 60-65 სმ აღწევს, ბოლოზე კი — 50 სმ-ს.

კოშკურა საცხოვრებელში შესასვლელი კარი სამხრეთის კედელშია კლდოვანი გრუნტიდან 1,30 მ სიმაღლეზე. კარის ღიობი ნაოთხალებიანია, ღიობის სიგანეა 90 სმ, სიმაღლე კი 1,50 მ. ღიობი ნახევარწრიული თალითაა დაგვირგვინებული.

პირველი სართულის სათავის დასავლეთის კედელზე სარკმელია ზომით 65 X 55 სმ., სამხრეთის კედელში კი სათოფური. აღმოსავლეთის კედელში სათოფური ღიობია ორმაგი ხერელით. მათგან ერთი პირდაპირაა მიმართული, მეორე კი ვერტიკალურად ეშვება დაბლა უფსკრულის მიმართულებით ხეობის გასწვრივ გამავალი ბილიკისაკენ.

მეორე სართულის დონეზე აღმოსავლეთის კედელში სარკმელია ზომით 40 X 45 სმ. ჩრდილოეთის კედელში ორი სათოფურია; ერთი მათგანი ორმაგი ხერელით. სამხრეთის კედელში სამი სათოფურია: ერთი ერთხერე-



კოშკურა საცხოვრებელი. კრალი.

Башенное жилище. Разрез.

ლიანი, მეორე ორხველიანი და ერთი სამხველიანი. უკანასკნელის ერთი ხვერელი ვერტიკალურადაა დაბლა მიმართული.

მესამე სართულის დონეზე ჩრდილოეთის კედელზე ორი სათოფურია. სამხრეთის კედელი დაგვირგვინებულია შეწყვილებული მაშკიულით, რომელიც მზიდი კედლიდან 43 სმ-თაა გადმოცილებული. მაშკიულთან კედელში 80 სმ. სიგანის ღიობია დაცვითი ოპერაციების საწარმოებლად. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში 1,60 მ სიგრძის სანიაფო ღიობებია დაცვებული.

პირველი სართულის სათავსის ფართია 17,70 მ². სათავსის ჩრდილოეთის კედლის ცენტრთან ქვის ნყობით საკურთხეველია მოწყობილი, რომლის სიგანეა 55 სმ, სიგრძე — 85 სმ, ხოლო სიმაღლე — 75 სმ. სართულის სავარაუდო სიმაღლე 2 მ. შეადგენს.

ფართი მეორე და მესამე სართულებზეც იგივეა. ნაგებობის საერთო სავარაუდო სიმაღლე (მისი ზედა ნაწილი ჩამონგრეულია) 8 მ აღწევს.

სასურავი და სართულშუა გადახურვები დიდი ხნის წინ ჩაქცეულა და ძნელია მათზე რაიმეს თქმა.

კოშკურა საცხოვრებლის შედარებით პატარა გაბარიტებს გვეგმაში საფუძვლად ტერიტორიის სიმცირე უდევს, ტერასის ზომები გამოირიცხავენ უფრო დიდი შენობის აგებას.

ახლა რამდენიმე სიტყვა თორღვას პიროვნების შესახებ.

ხევსურულ ფოლკლორში ასახულ კარგ ყმათა შორის თორღვას სახელთან დაკავშირებული მასალა შედარებით ვრცელადაა წარმოდგენილი. ამ მასალით თორღვას წარმომავლობაზე ერთი აზრი არ არსებობს. ზოგან ის ბაგრატიონთა ნაბიჭვარი³, სხვაგან ძაგანის გვარით იხსენიება⁴. ხან კონსტანტინე ბატონიშვილის ბუშია⁵, ხან ერეკლეს ნაბიჭვარი⁶, და ა. შ. როგორც ვხედავთ თორღვას წარმომავლობის მრავალი ვერსიაა, თუმცა ერთ რამეში ერთსულლოვნება ჩანს; თორღვა მამით ხევსური არაა.



თორღვას პიროვნების დახასიათებისას ხაზგასმულია ისიც, რომ თორღვას რღვა ზებუნებრივ ძალთაგანაა ნაკურთხი და ჩვეულებრივი მოკვდავისაგან გამორჩეულია, „ღვთისაგან ნაწილიანია“, „ღვთისაგან დავლათიანია“, ტანზე ჯადოქრული პერანგი თუ ჯაჭვი სცმია, რომელიც მისთვის ქაჯს, დევის ქალს... მიუცია.

თორღვას სახელთან დაკავშირებულ გადმოცემათა ერთი ციკლი მას ხევსურეთის დამცველი გმირის ამპლუაში წარმოგვიდგენს. მას მოუკლავს ქისტების ბელადი, რომელიც მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა.

გადმოცემათა მეორე ციკლით თორღვა ბეგრავს ფშაველებს, ქისტებს, ხევსურებს, თუშებს და კახელებს. თორღვას აღზევების ეს პერიოდი უკვე აფრთხობს მოსახლეობას და მთქმელი ხალხის აზრს გამოხატავს, როდესაც კატეგორიულად აფრთხილებს მას:

„ქებით კი თავს ნუ იდიდებ, მამა მეც მყვანდა ხნიანი.

ჭარიდან მოუდიოდა ყოჩნი და ვერძნი რქიანნი“⁷.

ცხადია, აღზევებული თორღვას ურთიერთობა რიგით მეთემეებთან ტრადიციული ხასიათისა ველარ დარჩებოდა. ამას ისიც მოწმობს, რომ უბრალო მეთემის ქალს მასზე გათხოვება წარმოუდგენლად მიაჩნია⁸. ამ პერიოდში თორღვა იმდენად დანინაურებული ჩანს, რომ მას მსახურები, ყმები და აზნაურებიც კი ყავს⁹.

ცხადია, აქ პოეტური ხერხებით რამდენადმე გაზვიადებულია რეალობა. მუცოში, ისევე როგორც საერთოდ კავკასიონის მთამალალში, იშვიათად თუ არსებობდა ობიექტური პირობები, იმისათვის, რომ თორღვას მსგავს პიროვნებას აზნაურები ან ყმები (გგულისხმობ მათ მუდმივ კატეგორიებს) ჰყოლოდა. სავარაუდებელია ლაშქრობის დროს ტყვედ წამოყვანილი პირების ნაწილი მოლაშქრეთა ოჯახების მიერ სამეურნეო საქმიანობაში გამოიყენებოდა და გარკვეული დროის შემდეგ ან ანთავისუფლებდნენ მათ ან იქვე ახლო დასახლებდნენ სადმე. მსგავსი მაგალითები თორღვასთან დაკავშირებულ ციკლშიც გვხვდება. დაიაური თორღვას წამოუყვანია ლეკეთიდან ტყვედ. მას თორღვასთან უცხოვრია რამდენიმე ხანს. შემდეგ თორღვამ ის ვარლესი დაასახლა. საფიქრებელია, რომ ახალშექმნილ ოჯახს გარკვეული ვალდებულებანი ჰქონდა ნაკისრი თორღვას მიმართ, თუმცა ამაზე თქმულება დუმს.

ფოლკლორული მასალით თორღვა ბეგრავს არა მარტო სხვა კუთხეების მცხოვრებლებს, არამედ თანასოფლელებსაც, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვოდი, რომ დაბეგრის სურვილს უფრო იჩენს. ამას საგმირო პოეზიაც გვიდასტურებს. თორღვას მოთხოვნაზე ბეგარის მომატების შესახებ ფშაველები პასუხობენ:


„ვინც შენ ეგ მოგცას, თორღვაო, მამა ნაუნყმდეს მკვდარიო“¹⁰. სხვა ვარიანტით.

„სამჯერ გეხვეწე, თორღვაო, სამჯერ დაგიკალ ცხვარო,

მეოთხედ შემოგეხვეწე — თეთრი ქორაი ვარო.

ვინც ხუთჯერ მოგცეს ბეგარი, მამა უძალდეს მკვდარიო“¹¹

ციტირებული ფრაგმენტებით თორღვას ან უარს ეუბნებიან ბეგარაზე, ან რაღაც დროებითი ვალდებულების სახით სამჯერ უკლავენ ცხვარს, მე-



კოშკურა საცხოვრებელი. გეგმა.

Башенное жилище. План.

კოშკურა საცხოვრებელი. ფასადი.

Башенное жилище. Фасад.



ოთხედ თეთრ ქორა ხარს ახვეწებენ და მეხუთედ ბეგრის მიცემაზე უარს ეუბნებიან, ე. ი. ბეგრის აღნიშნულ კატეგორიას მუდმივად დაწესებულ სავალდებულო ფორმა არ გააჩნია და თორღვა ძალით ცდილობს მათ ასეთად გადაქცევას. მოსახლეობა იბრძვის პიროვნების განდიდების წინააღმდეგ და თორღვა ეწირება კიდევ მას.

ამრიგად კარგი ყმა, რომელიც თავისი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე მოთემეთა სათაყვანებელ გმირად გვევლინება სავალალოდ ასრულებს სიცოცხლეს და ხალხი ხოტბასაც კი ასხამს მის მკვლელს.¹²

ვფიქრობთ მოყვანილი მასალა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა:

ა) თემის მიმართ გარკვეული დამსახურებისათვის კარგ ყმას (მოცემულ შემთხვევაში თორღვას) გარკვეული პრივილეგიები ეძლეოდა.

ბ) გამამართლებელი კარგი ყმა რიგით მეთემეებზე პრეროგატივის მოპოვებას ცდილობს, რასაც ნაწილობრივ აღწევს კიდევ.

გ) კარგი ყმის აღზევების პროცესში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა მის საცხოვრებელ და დაცვით ნაგებობებს. მართალია აღწერილი კოშკურა საცხოვრებელი დიდი ზომებით არ გამოირჩევა, მაგრამ სამაგიეროდ მდებარეობა, სტრატეგიული თვალსაზრისით, მის მფლობელს სოფელზე გაბატონებულ მდგომარეობას ანიჭებდა.

ასევე სოფლისაგან განცალკევებით იყო აგებული კოშკიც, რომელიც არდოტის ხევზე გამავალ გზაზე ბატონობდა.

დ) თემის რღვევის პროცესი დიდი ხნის დაწყებული ჩანს, თუმცა ჯერ კიდევ ისე ღრმად არაა წასული, რომ აღზევებული რიგითი მეთემის ქმედება დაუსჯელი დარჩეს.

1. ექ. გიორგი თედორაძე, ზეოი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 70

2. А. Камараули, Хевсурия, Тифл., 1929, 18.

3—5. ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I. ხევსურული, ტფ., 1931, 346, 16, 342

6. ქართული ხალხური პოეზია, II ნაკვ. II, თბ., 1973, 173

7—11. ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, 346, 345-347, 348, 349, 16, 353

12. ქართული ხალხური პოეზია, II, ნაკვ. II, 174



ძეგლის დაშლული მცენარეები „მწვანე მონასტრის“ სახურავზე.

«Мцване монастыря». Церковь, заселенная растениями.

ნოდარ ცანავა, ნანული თოდუა, ლევან თოდუარიძე, მარინა გამყრალიძე, ნაირა შილაკაძე

ბორჯომის „მწვანე მონასტრის“ გიოტური ეროვნული მემკვიდრეობის მონუმენტი და მათი წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაშლა-ნგრევის პროცესში დიდ უარყოფით როლს ასრულებს მცენარეები: ხეები, ბუჩქები, ბალახები, ხავსები და მღიერები. ისინი მყარად გამოწყობილი შლიან მშენებლობისათვის გამოყენებულ ყველა სახის ინერტულ მასალას, ხელს უწყობენ ძეგლზე ნიადაგწარმოქმნის პროცესს, ნაპრალების გაჩენას, ნაგებობებში ნალექების შეღწევას და ტენიანობის გაზრდას, რაც საბოლოოდ იწვევს ძეგლების წგრევას¹.

ჩვენს მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა ბორჯომის „მწვანე მონასტრზე“ დასახლებული მცენარეები და დაგვესახა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.



ძეგლის დანშუღელი მცენარეები „მწვანე მონასტრის“ მონაშენზე.

«Мцване монастыри». Пристройка церкви, заселенная растениями.

ძეგლის დანშუღელი მცენარეები „მწვანე მონასტრის“ სამრეკლოზე.

«Мцване монастыри». Колокольня, покрытая растениями.





ძეგლის დაშლული მცენარეობით დაშლილი „მწვანე მონასტრის“ ველისის მინასენის ერთ-ერთი კედელი. ფოტო გადაღებულია ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შემდეგ.


„მწვანე მონასტერი“ ბიოტური ეროზიის შედეგად დაზიანებული კედელი.

«Мцване монастыри», разрушавшаяся стена пристройки церкви.

Снималась после проведения борьбы с растениями-разрушителями памятников.

«Мцване монастыри», разрушенная стена от биотической эрозии.





„მწვანე მონასტერი“. ეკლესიის საერთო
ხედი მცენარეების წინააღმდეგ ჩატარებუ-
ლი ბრძოლის ღონისძიებების შემდეგ.


«Мцване монастыри». Общій
вид церкви (после проведения
борьбы с растением)

ბორჯომის „მწვანე მონასტერი“ IX—Xსს ერთნავიანი ბაზილიკაა. აქვს მაღალი ერთქანობიანი სახურავი. კედლები ქვითკირითაა აგებული. ქუეცი მთლიანად ძლიერად არის დასახლებული მცენარეებით. ეკლესიის სამხრეთით დგას სამრეკლო, რომელსაც აქვს სიმეტრიულად და ლამაზად ნაგები თაღიანი ცხრა სვეტი. იგი სწორბანიანია და ლორწინითაა დახურული. სვეტები შემკულია მცენარის ორნამენტებით. დასავლეთით აქვს ასახვეული ქვის კიბე. სამრეკლო მრგვალია, მისი დიამეტრი 4,8 მ, სიმაღლე 6 მეტრია².

„მწვანე მონასტერი“ ბორჯომიდან 12 კმ-ითაა დაშორებული. მდებარეობს მდინარე ჩითახევის წყლის მარცხენა სანაპიროზე. მიდამო ვაკეა, გარემოცულია შერეული ტყით.

ეკლესიის სახურავი მთლიანად დაფარულია მცენარეებით. მათი დასახლების სიმჭიდროვე 100%-ია. სახურავზე მოზარდი ზოგიერთი სისიმაღლე 5—10 მეტრია. მერქნიანი მცენარეებიდან ქარბობს იფანი, ნეკერჩხალი, დიდგულა, ხურტყელი. ბალახოვანი მცენარეებიდან: გვიმრები, სენიტრი, მაჩიტა, კლდის ქუშა და სხვა. კედლებზე უფრო მეტად ხავსები და მღიერებია განვითარებული.

სამრეკლოს სახურავზე დასახლებული მცენარეებიდან დომინირებს



„მწვანე მონასტერი“ გელესიის საერ-
თო ზედი გატარებული ღონისძიებების
შემდეგ.

«Мцване монастыри». Общын
вид после проведения борьбы с
растениями.

ხურტკმელი, კატაბალახა. კიბეებზე და ნანგრევებზე მერქნიანი მცენარეე-
ბიდან განვითარებულია დიდგულა, ნეკერჩხალი, იფანი, წითელი ხურტ-
კმელი, ჭანჭყატი, კონახური და სხვა. ბალახებიდან მრავლადაა ქრისტე-
სისხლა, შავნამალა, ისლი, გვიმრები, კატაბალახა, ნემსიწვერა და სხვა.

გელესიასა და სამრეკლოზე აღმოჩნდა 30 ოჯახის, 36 გვარის 41 სა-
ხეობის მცენარე, რომელთა სრული სია ასეთია:

ოჯახი — ნამღვლი გვიმრები: ცისტოპტერიისი, ჩადუნა, მამსწარა, კლაშურა; ოჯახი —
კოწახურისებრნი: კოწახური; ოჯახი — თბილისებრნი: ჩაგრცილა, თბილი; ოჯახი — მი-
ხაკისებრნი: ენერჯიკი; ოჯახი — ყაჯაღისებრნი: ქრისტესისხლა; ოჯახი — წვაროსანნი: ნივ-
რის დედა, ზახია; ოჯახი — რძიანასებრნი: რძიანა; ოჯახი — ბალახ მინასებრნი: უკადრისა ოჯახი —
მსუქანასებრნი: კლდისდუმა; ოჯახი — ფხიჯასებრნი: უცეფელა, ხურტკმელი, ოჯახი — ვარდისებრნი,
კენელა; ოჯახი — ცაცხვისებრნი: ცაცხვი; ოჯახი — შეველასებრნი: მთველა; ოჯახი — ნემსიწვე-
რასებრნი: ნემსიწვერა; ოჯახი — ნეკერჩხალისებრნი: ჭორაფი, ლეკა; ოჯახი — ჭანჭყატისებრნი: კიდო-
ბანა ზვეულბრივი ჭანჭყატი, ტაბლაყურა (ფართოფოთლიანი ჭანჭყატი); ოჯახი — შინდისებრნი:
შინდი; ოჯახი — ქოლგოსანნი: კუიმი; ოჯახი — ზეთისბილისებრნი: იფანი (კობიტი); ოჯახი —
შეწამალასებრნი: შეწამალა; ოჯახი — ლაშქარასებრნი: კესანე (კოსანა); ოჯახი — ტუზოსანნი:
ტინკრის დედა; ოჯახი — ენდროსებრნი: ენდრო, ენდრონიკა; ოჯახი — ცხატყავასებრნი: დიდ-
გულა; ოჯახი — კატაბალახასებრნი: სამკურნალო კატაბალახა; ოჯახი — ვოქშოსებრნი: ფოლოო;
ოჯახი — მახიტასებრნი: მახიტა; ოჯახი — რთულყვავილოვანი; ოჯახი — შროშანასებრნი:
სეინტრი; ოჯახი — მარკელოვანნი: ტუის თივაქსრა.

Cystopteris filix fragalis (L.) Chiov., *Driopteris filix mas* (L.) Chott., *Asplenium tricho-*
manes, L., *Polypodium vulgare* L. (Polypodiaceae); *Berberis vulgaris* L. (Berberidaceae);
Carpinus orientalis Mill., *Corilus avellana* L. (Corylaceae); *Stellaria media* (L.) Cyr.
(Caryophyllaceae); *Chelidonium majus* I. (Papaveraceae); *Alliaria officinalis* Andr.,



Pachyphragma macrophyllum (Hoffm) N. Bus., (Cruciferac); *Euphorbia squamosa* (Willd) (Euphorbiaceae); *Impatiens noli tangere* L. (Balsaminaceae); *Sedum caucasicum* (Gross) A. Boriss. (Crassulaceae); *Philadelphus caucasicus* Kochue., *Grossularia reclinata* (L) Mill. (Saxifragaceae); *Crataegus kyrstostyla* Fing. (Rosaceae); *Tilia caucasica* Rupr. (Tiliaceae); *Oxalis acetosella* L. (Oxalideaceae); *Geranium divaricatum* Ehrh. (Geraniaceae); *Acer laetum* C. A. M., *Acer platanoides* L., *Acer hyreaum* F. et M. (Acaraceae); *Enonimus europaea* L., *Euonimus latifolia* Mill. (Celastraceae); *Cornus mas* L. (Cornaceae); *Anthriscus ynlgaris* Bernh. (Umbelliferae); *Fraxinus txcelsior* L. (Oleaceae); *Scrophularia macrobotrus* Ledeb. (Scrophulariaceae); *Myosotis amoena* (Rupr) Boiss., *Myosotis urvensis* (L.) Hill (Boraginaceae); *Lamium album* L. (Labiatae); *Galium vaillantii* D. C., *Galium verum* f. (Rubiaceae); *Sambucus nigra* L. (Caprifoliaceae); *Valeriana officinalis* L. (Valerianaceae); *Seabiosa imeretica* S. et I. (Dipsacaceae); *Campanula rapunculoides* L. (Campanulaceae); *Mycelis muralis* (L.); Reichenb. (Compositae); *Poligonatum glaberrimum* C. Koch. (Lilia-ceae); *Poa nemoralis* L. (Gramineae).

ეკლესია განსაკუთრებით ძლიერ არის დაზიანებული. საშენი მასა-
ლის შემკავშირებელი ნაზავი დაზლილია. კედლები იწყვეს ნგრევას.

„მწვანე მონასტრზე“ დასახლებული მცენარეების წინააღმდეგ ქიმი-
ური ბრძოლის ღონისძიებები ჩავატარეთ შხამ-ქიმიკატებით 1979-1980 წწ.

წინა შრომაში (!) აღწერილი იყო ჩვენს მიერ შემუშავებული ქიმიური
ბრძოლის ღონისძიებები მერქნიან და ბალახოვან მცენარეებზე. „მწვანე
მონასტრზე“, ისევე როგორც გურჯაანის რაიონის ვაჩნაძიანის „ყველა-
წმინდის“ მონასტრის დამუშავებისას, გამოვიყენეთ მერქნიანი მცენარე-
ების შესაწამლად 2,4-დ ამინის მარილის 10%-იანი წყალხსნარი და ბალა-
ხოვანი მცენარეებისათვის — ტორდონ 22-კ-ს 5%-იანი წყალხსნარი. ამ
შემთხვევაშიც დადებითი შედეგია მიღებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „მწვანე მონასტრის“ ტერი-
ტორიაზე და კედლებზე მრავლად იყო წარმოდგენილი სხვადასხვა
სახეობის ხავსები. დიდი ხნის ლაბორატორიული და ნახევრადსაწარმოო
დაკვირვებების შედეგად მრავალ გამოცდილ შხამ-ქიმიკატთა შორის²
შევარჩიეთ ქიმიური ნივთიერება, რომელიც ინვეს ყველა სახის ხავსების
ხმობას 30 წუთის ექსპოზიციით.


ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი შხამ-ქიმიკატი, რომელიც პირვე-
ლად იქნა გამოყენებული ხავსების საწინააღმდეგოდ წარდგენილია გამო-
გონებისა და რაციონალიზაციის სახელმწიფო კომიტეტში დასამტკიცებ-
ლად.

ყველა აღნიშნული შხამ-ქიმიკატი ინვეს მცენარის ვარჯისა და
ფესვთა სისტემის სრულ ხმობას, რის გამოც მომდევნო წლებში ფესვები
ამონაყარს აღარ იძლევიან. ეს ნივთიერებები ქიმიურ რეაქციაში არ შე-
დიან და არ მოქმედებენ საშენ მასალაზე, არ ინვევენ მათ შეფერვას.

1. ნ. ცანავა, ნ. თოდუა, ლ. თოფურია, მ. გამყრელიძე, ნ. შილაკაძე-ვაჩნაძიანის „ყველა-
წმინდის“ ეკლესიის ბიოტური ეროზიის გამომწვევი მცენარეები და მათ წინააღმდეგ ბრძო-
ლა. „ქველის მეგობარი“ №58, თბილისი 1981 წ.

2. ს. მკალათია-ბორჯომის ზეობა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბილისი,
1957 წ.

² Список химических и биологических средств борьбы с вредителями, бо-
лезнями растений и сорняками, разрешенных для применения в сельском хо-
зяйстве на 1979 г. (Часть I-ая и II-ая). М., 1979 г.



ჰონი აფაშიძე

ახლად აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულეები აფხაზეთიდან

ძველი კოლხეთის ერთ-ერთი მთავარი ლოკალური რეგიონის აფხაზეთის გვიანბრინჯაოს ხანის კულტურა დღემდე მთელი სისრულით არ არის შესწავლილი.¹ ამ მხრივ ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლხური ცულის შესწავლას, რადგანაც სპეციალურ ლიტერატურაში ეს იარაღი გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული კულტურის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ და განმსაზღვრელ სახედ ითვლება.²

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე (1970—1981 წწ) აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში, გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, გაგრის აფხაზური იარაღის მუზეუმ-გამოფენასა და სოჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თავი მოიყარა ახალმა არქეოლოგიურმა მასალამ; მათ შორის ბევრია ბრინჯაოს კოლხური ცულიც: ამ ნივთების მხოლოდ მცირე წაწილის. სახელდობრ, აჭანდარაში, გალსა და ეშერაში აღმოჩენილი ცულების მორთულობის შესწავლის ცდაა მოცემული სპეციალურ ლიტერატურაში.³

ჩვენი ნაშრომის მიზანია ფაქტიურად ჯერაც შეუსწავლელი ახლად აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულების აღწერა, მათი აღმოჩენის ვითარების დადგენა და არქეოლოგიური რუკის შედგენა, რომელზედაც აისახება აფხაზეთში კოლხური ცულის აღმოჩენის ყველა შემთხვევა.



ნაშრომში აღწერილი ცულები დალაგებულია ო-ჯაფარიძის ტიპის ცულების მიხედვით, მაგრამ იქვეა მითითებული დ-ქორიძის ტიპის ცულები ო-ჯაფარიძის კლასიფიკაციის მიხედვით გამოყოფენ კოლხური ცულის სამ ძირითად ტიპსა და ორ ქვეტიპს.

1. კოლხური ცული-ბრინჯაოსი (აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი, ინ. 78—11/2; ტაბ. I ნახ. 1). მას ყუა მახვილი აქვს. სატარე ნახვრეტი წვეტიან ოვალური მოყვანილობისაა; იგი ყელითაა ყუისაგან გამოყოფილი სატარის კედლებს ორი ნიბური და მათ შორის მკვეთრი ღარი გაუყვება; წინა და უკანა ნილრი თითქმის ერთმანეთის ტოლია; პირი სიმეტრიულია.

ცული ერთდროულად შემკულია გეომეტრიული და ცხოველური ორნამენტით. იარაღის მთელი ზედა ნაწილი ვიდრე წელამდე დაფარულია პარალელური საზებით და ნერტილებით. ცულის ორივე ლოყაზე გამოსახულია ცხენი. მისი დამახასიათებელი ნიშნებია დაღებული ხახა, აცქვეტილი ყურები, მოგრძო ტანი, წვრილი და მაღალი ფეხები და ისრის წვერისებური წვეტიანი დაბოლოებული კუდი. ზოგიერთი ავტორი ასეთ სურათებში ხედავს აფთრის ფანტასტიკურ-სტილიზებულ გამოსახულებას, ზოგიც მონადირე ძაღლისას; ზოგიერთ სწავლულს ეს გამოსახულება მიაჩნია გერიად. ერთერთი მეგრული ზღაპრის გმირად, რომელიც აღიარეს იბერიელთა ეპონიმად.

სიგრძე — 15,5 სმ; პირის სიფართე — 5,3 სმ.

(ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის I ტიპი; დ. ქორიძის —

III სახეობა).

ცული ნაპოვნია 1969 წელს შემთხვევით გ. შამბას მიერ სოფ. ოთხარაში (გუდაუთის რაიონი). აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა 1978 წელს.

2. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (აფსმ, ინ. 78—11/1; ტაბ. I ნახ 2) მას ყუა მახვილი აქვს; სატარე ნახვრეტი წვეტიან-ოვალური მოყვანილობის უნდა ყოფილიყო. სატარის კედლებს ორი ნიბური და მათ შორის მკვეთრი ღარი გაუყვება. წინა და უკანა ნილრი ერთმანეთის ტოლია; პირი თითქმის სიმეტრიულია; სატარე კედლის ნაწილი და ყუა მოტეხილი და დაკარგულია. ცულს ამონატეხი აქვს ფხაზეც.

ცული უზვადაა ორნამენტირებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მრგვალი ვიწრო წრეხაზები, რომლებშიაც ყოველთვის რამდენიმე ნერტილი ზის. სატარე კედლის ძირზე მოცემულია ცხოველის მინიატურული გამოსახულება, რომელიც ერთდროულად ცხენსაც გვაგონებს და ძაღლსაც.

პირის სიფართე — 5,5 სმ;

(ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის I ტიპი; დ. ქორიძის —

III სახეობა).

ცული ნაპოვნია 1969 წელს შემთხვევით გ. შამბას მიერ სოფ. ოთხარაში (გუდაუთის რაიონი). აფხაზეთის მუზეუმში შემოვიდა 1978 წელს.

3. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (აფსმ, ინ 77-132/1; ტაბ. I, ნახ. 3). მას ყუა მახვილი აქვს; სატარე ნახვრეტი — წვეტიან-ოვალური; სატარე კედლებს გარედან ორი ნიბური და მათ შორის მკვეთრი ღარი გაუყვება;

ტაბულა I.

Табл. I.



ტაბულა II.

Табл. II.



ტაბულა III.

Табл. III.





წინა და უკანა ნიღრი თითქმის ერთმანეთის ტოლია; პირი სიმეტრიული; ფხაზე ამონატეხები ემჩნევა.

ცული უხვადაა ორნამენტირებული და მთლიანად გრავირებული სახეებითაა შემკული. ორნამენტაციაში განსაკუთრებით გამოირჩევა მრავალი ნრეხაზი და წერტილი.

სიგრძე — 15 სმ; პირის სიფართო — 5 სმ.

(ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის — I ტიპი, დ. ქორიძის — III სახეობა).

ცული აღმოჩენილია სოფ. ქვედა ეშერაში (სოსუმის რაიონი) 1977 წელს შემთხვევით მ. კორიანის მიერ.

4. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. მას ყუა მახვილი აქვს; იგი ყელითაა სატარე ნახვრეტისაგან გამოყოფილი; სატარე ნახვრეტი წვეტიან-ოვალური მოყვანილობისაა; სატარე კედლებს გარედან ორი ნიბური და მათ შორის ღარი გაუყვება; წინა და უკანა ნიღრი თითქმის ერთმანეთის ტოლია; პირი სიმეტრიულია; ფხაზე ამონატეხები ემჩნევა.

ცული შემკულია გეომეტრიული ორნამენტით. მასზე გამოსახულია პატარა მრგვალი ნრეები; რომლებშიც წერტილებში ზის. სატარე კედლის ზედა მხარეს მოცემულია თევზის გამოსახულება.

სიგრძე — 15.4 სმ; პირის სიფართო — 5 სმ.

(ო. ჯაფარიძის — I ტიპი, დ. ქორიძის — III სახეობა).

ცული დაცულია გაგრის აფხაზური იარაღის მუზეუმ-გამოფენაში. მისი აღმოჩენის ვითარებისა და დროის დადგენის გარშემო ვერავითარ ცნობებს ვერ მივაგენით (ტაბ. I, ნახ. 4).

5. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი № 28; ტაბ. II, ნახ. 1). მას მაღალი ყუა აქვს. სატარე ნახვრეტი ყელითაა ყუისაგან გამოყოფილი, იგი ოვალური მოყვანილობისაა. სატარე კედლებს გარედან ორი ნიბური და მათ შორის ფართო ღარი გაუყვება. წინა ნიღრი უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა. ფხა დარტყმების გამო დაბლაგვეებულია. ტანი სიგრძივ ექვსადაა დანახნაგებული.

სიგრძე — 17,9 სმ; პირის სიფართო — 6,5 სმ.

(ო. ჯაფარიძის — I ტიპი, დ. ქორიძის — III სახეობა).

ცული აღმოჩენილია 1974 წელს სოფ. თაგილონში (გალის რაიონი). გალის მუზეუმში შემოვიდა იმავე წელს. ცულთან ერთად აღმოჩნდა შვიდი სეგმენტური იარაღი, ცხრა წიდა, ექვსი ბრინჯაოს ზოდი, ორი I ტიპისა და ერთი II ტიპის ბრინჯაოს კოლხური ცული. ამ ნივთებს, ყველას ერთად აღებული სეგმენტულია განძი ვუნოდათ. თაგილონში ადრეც იყო აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის განძი; ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია პირველად აღმოჩენილ განძს თაგილონ I განძი ეწოდოს, ხოლო მეორედ აღმოჩენილს — თაგილონ — II განძი.

6. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (გმმ № 27; ტაბ. II, ნახ. 2). მას ყუა მახვილი აქვს; სატარე ნახვრეტი წვეტიან — ოვალური მოყვანილობისაა; წინა და უკანა ნიღრი თითქმის ერთმანეთის ტოლია; ფხაზე ორგან ამონატეხია.

სიგრძე — 17,5 სმ; პირის სიფართო — 6 სმ.

(ო. ჯაფარიძის — I ტიპი; დ. ქორიძის — III სახეობა).



ცული აღმოჩენილია 1974 წელს და წარმოადგენს *ქვემოქვემო*
განხილული თაგილონ II განძის ნაწილს. *სიგრაძის*

7. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (გმმ № 1, ტაბ. II, ნახ. 3). მას ყუა მახვილი აქვს; სატარე ნახვრეტი ოვალური მოყვანილობის უნდა ყოფილიყო; სატარე კედლებს ორი წიბური და მათ შორის ფართო ღარი გაუყვება. წინა ნიღრი უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა პირი — ასიმეტრიულია. ყუა და სატარე ნახვრეტის ნაწილი მოტეხილია იარაღის ძირითადი ნაწილისაგან.

სიგრძე — 18 სმ; პირის სიფართე — 7,4 სმ.

(ო. ჯაფარიძის — I ტიპი; დ. ქორიძის — III სახეობა)

ცული აღმოჩენილია 1974 წელს სოფ. ლეკუმხარაში

(გალის რაიონი) შემთხვევით მ. როდანიას მიერ. ცულთან ერთად ნაპოვნია თერთმეტი სეგმენტური იარაღი, ცხრა ბრინჯაოს ზოდი, ბრინჯაოს სამი ბრტყელი ფურცელი და ერთი II ტიპის ბრინჯაოს ცული. ამდენად, ლეკუმხარაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები შეიძლება განმად ჩაითვალოს.

8. კოლხური ცული — ბრინჯაოსი. მას მახვილი ყუა აქვს; სატარე ნახვრეტი წვეტიან — ოვალური; სატარე კედლებს ორი წიბური და მათ შორის ფართო ღარი გაუყვება. უკანა ნიღრი უფრო მაღალია, ვიდრე — წინა. რის გამოც პირი ასიმეტრიულია. ფხაზე და ლოყაზე ამონატეხებია, ტანი სიგრძეზე ექვსადაა დანახნაგებული.

სიგრძე — 18,3 სმ, პირის სიფართე — 6,8 სმ.

(ო. ჯაფარიძის — I ტიპი; დ. ქორიძის — III სახეობა).

ცული აღმოჩენილია 1978 წელს შემთხვევით ქ. სოჭში

და ინახება სოჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ი. ვორონოვმა 1977 წელს გამოაქვეყნა სოჭის მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ნივთები და მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომში გვიანბრინჯაოს ხანას ცალკე თავი ეთმობა, ზემოთ აღწერილი ცული მასში არ შესულა (ტაბ. II, ნახ. 4).

9. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (აფსმ. ინ. 78-9/2; ტაბ. II, ნახ. 5). მას ყუა მახვილი აქვს; წვეტიან ოვალური სატარე ნახვრეტი ყუისაგან ყელითა გამოყოფილი; სატარის კედლებს წიბურები და მათ შორის ფართო ღარი გაუყვება. წინა და უკანა ნიღრი თითქმის ერთმანეთის ტოლია, ამიტომაც ცულის პირიც თითქმის სიმეტრიულია; ფხაზე ამონატეხია.

სიგრძე — 17,1 სმ; პირის სიფართე — 6,2 სმ.

(ო. ჯაფარიძის — I ტიპი; დ. ქორიძის — III სახეობა).

ცული აღმოჩენილია სოფ. ქვედა ეშერაში (სოხუმის რაიონი)

1970 წელს. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა 1978 წელს.

10. კოლხური ცული — რკინისა (გმმ № 58; ტაბ. II, ნახ. 6), მას მაღალი ყუა აქვს. სატარე ნახვრეტი ოვალური მოყვანილობის უნდა ყოფილიყო. ცულს ორი წიბური და მათ შორის ფართო ღარი გაუყვება; პირი გორდა და ასიმეტრიულია. სატარე ხერელის ზედა ნაწილი და ყუა მოტეხილია.

სიგრძე — 14,5 სმ; პირის სიფართე — 5 სმ.

(ო. ჯაფარიძის — I ტიპი, დ. ქორიძის — I სახეობა).

ცული აღმოჩენილია 1978 წელს ზღვის ფსკერზე

სოფ. ფიჩორში (გალის რაიონი) შემთხვევით ჯ. ჩემინავას მიერ.

11. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (აფსმ, ინ. 78—9/3; ტაბ. II; ნახ. 7). მას ექვსნახნაგა მალალი ყუა აქვს; სატარე ნახვრეტი წვეტიან-ოვალური; სატარის კედლებს ორი ზურგულა ხაზი გაუყვება. წინა ნიღრი უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა; საკვეთი პირი გორდა და ასიმეტრიულია. ფხაზე ამონატეხებია.

სიგრძე — 16,5 სმ; პირის სიფართე — 4 სმ.

(ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის — II ტიპი; დ. ქორიძის — IV სახეობა). ცული აღმოჩენილია 1970 წელს ქვედა ეშერაში (სოხუმის რაიონი). ნაპოვნია გ. შამბას მიერ. აფხაზეთის მუზეუმში შემოვიდა 1978 წელს.

12. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (აფსმ 77 — 132/2; ტაბ. II, ნახ. 8). მას ექვსნახნაგა ყუა აქვს; სატარე ნახვრეტი — წვეტიან — ოვალური; წინა ნიღრი უფრო დაბალია, ვიდრე უკანა, ამიტომაც პირი გორდა და ასიმეტრიულია. ფხაზე ამონატეხია.

სიგრძე — 17 სმ; პირის სიფართე — 4,5 სმ.

(ო. ჯაფარიძის — II ტიპი; დ. ქორიძის — IV სახეობა).

ცული აღმოჩენილია სოფ. ქვედა ეშერაში შემთხვევით გ. შამბას მიერ. აფხაზეთის მუზეუმში შემოვიდა 1977 წელს.

13. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (გმმ № 29, ტაბ. II, ნახ. 9) მას ოთხნახნაგა ყუა აქვს; სატარე კედლებს გაუყვება სამი წიბური და მათ შორის — ორი ღარი. წინა ნიღრი უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა. ამიტომაც ცულის პირი ასიმეტრიულია. ფხაზე ამონატეხებია.

სიგრძე — 18 სმ; პირის სიფართე — 5,5 სმ.

(ო. ჯაფარიძის — II ტიპი; დ. ქორიძის — IV სახეობა).

ცული ნაპოვნია 1974 წელს სოფ. თაგილონში (გალის რაიონი) და წარმოადგენს თაგილინ II განძის ნაწილს.

14. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (გმმ № 2; ტაბ. XI, ნახ. 10). მას ხანჯაგვანი ყუა აქვს; იარაღის სატარე კედელი შუაზეა გადატეხილი. როგორც ჩანს, სატარე ნახვრეტი წვეტიან — ოვალური მოყვანილობის უნდა ყოფილიყო; სატარე კედლებს მიუყვება ორი წიბური და მათ შორის ფართო ღარი; წინა და უკანა ნიღრი თითქმის ერთმანეთის ტოლია. პირი — ასიმეტრიულია; ფხაზე — ამონატეხია.

სიგრძე — 14 სმ; პირის სიფართე — 5,5 სმ.

(ო. ჯაფარიძის — II ტიპი დ. ქორიძის — IV სახეობა).

ცული აღმოჩენილია 1974 წელს სოფ. ლეკუმხარაში (გალის რაიონი) შემთხვევით მ. როდანიას მიერ და წარმოადგენს ზემოთ აღწერილი ლეკუმხარის განძის ნაწილს.

15. კოლხური ცული — ბრინჯაოსი (გმმ № 31, ტაბ. II ნახ. 11). მას სოკოსებრი ყუა აქვს; სატარე ნახვრეტი წვეტიან — ოვალური; სატარის კედლებს სამი წიბური და მათ შორის ორი ღარი გაუყვება; წინა ნიღრი უფრო დაბალია, ვიდრე — უკანა. პირი გორდა და ასიმეტრიულია.

სიგრძე — 18 სმ; პირის სიფართე — 6 სმ.

(ო. ჯაფარიძის — II ტიპი, დ. ქორიძის — IV სახეობა).



ცული აღმოჩენილია 1974 წელს სოფ. თაგილონში (გაღრმის რაიონი) და წარმოადგენს თაგილონ II განძის ნაწილს.

შენიშვნა: დამატების სახით ნაშრომს დაუერთეთ 1970 წელს აჭანდარაში (გუდაუთის რაიონი) მასწავლებელ ს. ჩხაპელიას მიერ აღმოჩენილი ხუთი ბრინჯაოს ცული, რომლებიც ი. ვორონოვისა და მ. გუნბას მიერ უკვე გამოქვეყნებულია ჟურნალ „საბჭოთა არქეოლოგიაში“. (იხ. ტაბ. III. ნახ. 1, 2, 3, 4, 5). ამ ცულების ხელახალი პუბლიკაცია საჭიროდ მივიჩნიეთ, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ვცადეთ ორი ცულის ორნამენტაციის ცალკეული დეტალების განსხვავებული ახსნა (იხ. ტაბ. III, ნახ. 3, 4 და შდრ. ვორონოვისა და გუნბას მე-4 ნახატს). მეორე მხრივ, ასეთი მდიდარი და საინტერესო სახეებით შემკული ცულები ნაკლებად გვხვდება და მათი პუბლიკაცია ისეთ პოპულარულ ჟურნალში, როგორცაა „ქეგლის მეგობარი“, საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის. დასასრულ, აჭანდარაში აღმოჩენილი ბრინჯაოს კოლხური ცულები ექცევა იმ ათ წელში, რომელიც ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენს.

¹ Воронов, Ю. Н. Гунба, М. М., Новые памятники колхидской культуры в Абхазии, Советская Археология, М. № 2, 1978, стр. 257.

2. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1965, გვ. 50

³ Воронов Ю. Н., Гунба М. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 59, 264.

4. თ. ჭავჭავიძე, კოლხური ცული, საქ. საბ. მეზეუმის მოამბე, XVI—V, თბ., 1950, გვ. 41 — 73; მისივე, „Бронзовые топоры западной Грузии, С.А. М., XVIII, 1953, 284—285..“

5. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 139.

6. დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32—33.

⁷ Воронов, Ю. Н., Древности Сочи и его окрестностей. Краснодарское книжное издательство, 1979, стр. 57—60,

ერთი წარწერის წაკითხვა—დათარიღებისათვის

(მცირე შენიშვნა)

1955 წ. სოფ. ჭლოუსთან (ოჩამჩირის რ-ნი), ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილ იქნა ქართული ასომთავრული წარწერა ქვაზე. ცნობილი აფხაზ მეცნიერი ხუხუტ ბლაგბა ქარაგმების ნაწილობრივ გახსნის შემდეგ მას ასეთნაირად კითხულობს:

ერისთავთ ერისთავი
მანდატურთუხუცესი დდნ ობს
შეუნდვენ ღმერთმან¹

ბ. ბლაგბას აზრით «Сокращенное слово для может означать фамилию Дадвани, а следующие за ним буквы (обс), которые может быть обозначают его собственное имя, требуют расшифровки»².

ბ. ბლაგბას, როგორც ირკვევა, გამორჩენია ასო „ზ“, რომელიც მოსდევს ასო „ო“-ს იქ, სადაც იგი კითხულობს ასოებს „ობს“-ს და რომელიც მიიჩნევს აზრით შესაძლოა საკუთარ სახელს აღნიშნავდეს.

ეს წარწერა ქარაგმების გაუხსნელად ასეთნაირად წარმოგვიდგება:

ოქმძეა
ქანდატურთუხუცეს
ყნ ინ

ეთ- ირთვი

მნტთ. უხცსი დდნ ოზბს

ზნ ღნ.

ქარაგმების გახსნის შემდეგ ეს წარწერა ასეთ სახეს მიიღებს:

ე (რისთავ) თ ერ (ის) თ (ა) ვი

მ (.) ნ (და) ტ (ურ) თ უხ (უ) ც (ე) ს ი დ (ა) დ (ია) ნ ოზბ (ეგ) ს

შ (ეუნდო) ნ ღ (მერთმან) ნ

წარწერაში მოხსენიებულ ერისთავთ-ერისთავ და მანდატურთუხუცეს ოზბეგ დადიანს იცნობს ერთი საბუთი, რომლის წაწყვეტსაც აქვე მოვიყვანთ: „მე, ცაიშელ მთავარებისკომოსი დანიელი ლაბსყელდასა მივედი, ვაკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყელდაშისა დემეტრე მეფის მეფობასა ში-ა. ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა ოზბეგისა ბრძანებითა და მონამე-ბითა“³.



ეს საბუთი, მასში მოხსენიებული დემეტრე მეფის (თავდადგენილნი) მკვლელობის ხანის, 1271—1289 წლებით თარიღდება, და ცხადია ტფილისის სამთავროს რაც ამავდროულად უნდა დავათარილოთ.

¹ X. Бражба, Из истории письменности в Абхазии, Труды АИИИ т. XXX. 1959, стр. 260, его же истории письменности в Абхазии. Т6., 1967, стр. 24.

2. აქ მეწარმე რსტატს ნაცვლად ასო „ე“-სი, შეცდომით ასო „ი“ გამოუქრია.

3. ქართული სამართლის ძეგლები, 111, თბ., 1970, გვ. 172.

რეზო ხვინთაძე

საკვანძო თაბილონიდან

1981 წლის გაზაფხულზე გალის მუზეუმში სოფელ თაბილონიდან სკოლის დირექტორმა ა. გეგიძემ მოიტანა ინტალიო-ბეჭედი. ბეჭედი შემთხვევით უპოვნია მოსწავლე ო. პაპასკირს, სოფლის ცენტრიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით, ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდზე, ნახევრად მიწით დაფარული. სხვა ნივთი მასთან ერთად არ ყოფილა.

ინტალიო, მონათალო სარდონისა, ღია ყვითელ ფურცლოვან ოქროს რკალშეკრულ ბეჭდის თვალბუდეშია ჩასმული. ინტალიო ოვალური მოყვანილობისაა (ბეჭდის დიამეტრი — 19 მმ., ინტალიოს სიგრძე — 25 მმ., განი — 20 მმ.) გამოსახულებიანი ქვა კარგად არის შენახული, ბეჭდის რკალი დაზიანებულია.

პირზე გამოხატულია სვეტზე აღმართულ ფარის (?) წინ ჟაკუნჯის — მავგარ, დაბალ, უზურგო სკამზე მჯდომი შუემოსავი ქაბუკი, რომელსაც მარჯვენა ხელში მუხლზე დაბჯენილი თასმიანი (ჩამოსაკიდებლიანი) სატევარი უჭირავს, მარცხენა ხელით სკამს ეყრდნობა. თავზე მნათობის გამოსახულებით შემკული გვირგვინი ადგას. ღრმა ტალღებად დატეხილი თმის ვარცხნილობა აქვს. ქაბუკის თავი პროფილშია მოცემული, ხოლო ტორსის ზედა ნაწილი (ნელს ზემოთ) 3X4 მარცხნივია შემობრუნებული, მისი მხერა სვეტისაკენაა მიმართული.

გამოხატულება დაზგაზე უნდა იყოს ამოჭრილი და შემდეგ ბრინჯაოს ნეშით და ნამახული საჭრისით დამუშავებული. გამოსახულება ანაბეჭდზე მკაფიო რელიეფს იძლევა. ფაქიზი ნახელავია, დახვენილი კვეთითაა შესრულებული, მაღალი მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა, რაც ანონიმი ოსტატის ტალანტზე მიუთითებს. მჭრელი დაუფლებული ყოფილა ადამიანის ანატომიას. ქაბუკის სხეულის პროპორციები ლამაზი და მოქნილია. მთელი ფიგურა პლასტიკურია, რეალისტურადაა შესრულებული, ქაბუკის სხეულის ფორმები ძალზე მეტყველია, დინამიურია. ფიგურა საკრალურადაა გაშიშვლებული, ხაზგასმითაა უტყირებული ფალოსი.



ბედის რკალი.

Кольцо.

ინტალიო აქილევსის გამოსახულებით.

Инталио с изображением Ахиллея.

სხეულის ნაწილების პროპორციულობა, ნაკეთების რბილი გადასვლები, დეტალების მკვეთრი დამუშავება სილანაზის გრძნობას ავლენს. იგი ლამაზი, ძლიერი და ღონიერი აღნაგობისაა.

არსებული ანალოგიების მიხედვით ინტალიოზე გამოსახული ჭაბუკი მითოლოგიური აქილევსი შეიძლება იყოს. აქილევსს ტროას ალყის დროს უკმაყოფილება მოუვიდა აგამემნონთან და უარი განაცხადა ომის გაგრძელებაზე. ჩხუბის მიზეზი ტყვე ქალი ბრისეიდა გახდა, რომელიც აქილევსს წაართვა აგამემნონმა. ისარგებლეს რა აქილევსის წასვლით, ტროელებმა სასტიკად დაამარცხეს ბერძნები. მაშინ აქილევსის მეგობარი პატროკლე, აქილევსის თანხმობით, ებმება ომში ტროელების წინააღმდეგ. მან ბერძნების სასარგებლოდ შეაბრუნა ომის ბედი, მაგრამ თვით მალე დაიღუპა ჰექტორის ხელით. მეგობრის სიკვდილით აღშფოთებული აქილევსი ფიცს დებს, რომ სამაგიეროს გადაუხდის ჰექტორს. ჰეფესტოს მიერ საგანგებოდ გამოკვერილი იარაღით (შემდეგში საყოველთაოდ ცნობილი ფარით) აქილევსმა დაამარცხა ტროელები და მოკლა ჰექტორი.

თავილონის ინტალიოზე ამ იარაღით აღჭურვილი აქილევსი უნდა იყოს გამოსახული იმ დროს, როცა იგი ფიცს დებს, რომ სამაგიეროს გადაუხდის ტროელებს. დაახლოებით ასეთივე პოზაში მჯდომი შეუმოსავი აქილევსი (ფარით ხელში) გამოსახულია I საუკუნის გემაზე¹. ფეხზე მდგომი, შეუმოსავი აქილევსი (ფარით, სატევრით და შუბით აღჭურვილი) გამოსახულია რესპუბლიკური ხანის გემაზე². ანალოგიური თასმიანი სატევრით, უზურგო სკამზე მჯდომი აქილევსი (ლირაზე უკრავს, ფეხებთან გორგონას თავის გამოსახულებიანი ფარი უდევს) გამოსახულია რომაული ხანის გემაზე³. მსგავსი სვეტი და სატევარი ადრეელინისტური ხანის გემაზე⁴.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალებში ანალოგიები ვერ მოუძებნეთ მნათობის გამოსახულებიან გვირგვინს და ფასკუნჯის მავგარ სკამს⁵.



ინტალიოს გამოსახულება საკმაოდ ღრმადაა ამოჭრილი. ღრმად ამოჭრა, რაც მას მეტ რელიეფურობასა და პლასტიკურობას აძლევდა, ელინისმისათვისაა დამახასიათებელი. ამავე ხანაში ერწყმება ერთმანეთს ინტალიოს ორი ფორმა (მანამდე ინტალიო ან მთლიანად ლითონისაგან კეთდებოდა ან მთლიანად ქვისაგან).

როგორც აღვნიშნეთ, აქილევის სულიერი აფექტის მომენტშია ასახული (იგი ფიცს დებს, რომ ისისხლებს მეგობარს). ადამიანის ანატომიის ღრმა შესწავლამ ელინისტური ხანის მოქანდაკეებს საშუალება მისცა წარმოესახათ დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, ადამიანის ხასიათის მრავალფეროვნება, სულიერი თუ ფიზიკური განცდები.

თაგილონის ინტალიოზე გამოსახული ჭაბუკი მარცხენა ხელით სკამზეა დაყრდნობილი, მარჯვენით მუხლზე დაბჯენილ სატევარზე. სიმძიმე გადააქვს ოდნავ უკან გადაწეულ მარჯვენა ფეხის წვერზეც. იგი თითქოს ეძებს საყრდენ ნერტილს, თითქოს ჯერ კარგად ვერც დამჯდარაო. ეს „მოძრაობა“ ჭაბუკს შინაგან დაძაბულობას, დინამიკას და ცოცხალ ემოციურობას ანიჭებს. „საყრდენი ნერტილის“ ძებნა ელინისტური ხანის ქანდაკებისათვისაა დამახასიათებელი. ელინისტური ქანდაკება გავლენას ახდენდა ე. წ. მცირე ხელოვნების განვითარებასა და მხატვრულ სახეებზე. გლიპტიკა არსებითად მცირე ფორმებში იმეორებდა მონუმენტური ქანდაკების მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს. ჩვენს ინტალიოზე აქილევის მონუმენტალური სკულპტურის პირი უნდა იყოს გამოსახული.

თაგილონის ინტალიო-ბეჭდის რკალის ფორმის მსგავსი ბეჭდები ფ. ბოლდმანს დათარიღებული აქვს ძვ. წ. III საუკუნით.⁶

ამრიგად, ბეჭდის ფორმითა და გამოხატულების საერთო სტილით თაგილონის ინტალიო-ბეჭედი ძვ. წ. III საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. იგი ძალაღმხატვრული ღირებულების ძეგლს წარმოადგენს, რომელიც უდაოდ იწვდ და სახელოსნოში მოღვაწე მჭრელის მიერაა შესრულებული. თაგილონის ინტალიო-ბეჭედი მხატვრული კვეთის ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშია, რომელიც უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს დახვეწილი ფორმითა და პროპორციებით, გაწონასწორებული კომპოზიციითა და მოქნილობით. ბეჭედი უფლებრივ საბეჭდავს უნდა წარმოადგენდეს.

ასეთია წინასწარული და არა სრული დაკვირვებანი თაგილონში⁷ (გალის რაიონი) ახლად აღმოჩენილი საბეჭდავის შესახებ.

¹ შეად. E. Brandt, A. Krug, W. Gereke, E. Schmidt. Antike Cemen in Deutscher Sammlungen, Band I. München, 1972, გამ. 2219.

² შეად. M. L. Vollenweiden. Die steinschneidekunst und ihre Künstler in Spätrepublikanischen und Augusteischer zeit. Baden-Baden, 1966, ტაბ. 63 (1-3-4).

³ შეად. G. Richter. Engraved Gems of tche Greeks and Etruskans. London, 1968, გამ. 686.

⁴ შეად. G. Richten, დასაბ. ნაშრ. გამ. 519.

⁵ ჩვენ სასიამოვნო მოვლუბად მიგვანია მადლობა მოვახსენით ქ. ჭავჭავიძის, აკად. ს. ჭანბაის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში მუშაობის ნებართვისა და რიგი მნიშვნელოვანი მითითებისათვის.

⁶ იხ. J. Boardman. Greek Gems and Fings. London, 1970, გვ. 212, რკალის ფორმებისა და ბეჭდის ფორმების ტაბულა. გვ. 385, საბეჭდავებისა და ბეჭდის ფორმების კრებითი ტაბულა.

⁷ თაგილონი ძვ. წ. ვიანტი IV და III საუკუნეებში დათარიღებული ოქროს ბეჭდითაცაა ცნობილი. იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ძვ. წ. V-III სს. საბეჭდავი — ბეჭდები. თბილისი, 1975, გვ. 104—108.

საინტერესო სამარხული კოვალქსი მცხეთიდან

საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეულ ანტიკური ხანის სამარხ-ნაგებობების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ტიპს — თიხის ფილასამარხებს — გასულ წელს შეემატა მეტად საყურადღებო კომპლექსი (დიდი მცხეთა, სამთავროს სამაროვანი; თიხის ფილასამარხი № 605).

განსახილველი სამარხი აღნაგობით არ გამოირჩევა ამ ტიპის სხვა საკრძალავებისაგან¹. სამარხში თანამიმდევრულად დაუკრძალავთ ორი მიცვალებული. პირველად დაკრძალული მიცვალებულის (ქალის) ჩონჩხი მიუხევეტით სამარხის N 0 ნაწილში; გამოთავისუფლებულ ნაწილში კი დაუსვენებიათ მეორე მიცვალებული (მამაკაცი). ეს უკანასკნელი დაუკრძალავთ გულაღმა გაშოტილი, თავით დასაველეთისაკენ; ხელები — ბოქვენზე.

სამარხში აღმოჩნდა:

სანელსაცხებლე მინისა. სწორი, ოდნავ შესქელებული პირით. ყელი საშუალო სიმაღლის, ძირისაკენ შევიწროებული, სფერული მუცელი და ოდნავ შეზნექილი ძირი აქვს. სიმაღლე ჭურჭლის — 5,5; ყელის — 1,6; მუცლის — 3,7 სმ;

საყურე ოქროსი პატარა, მასიური; ყურსაკიდი ნაწილი წვრილია და სამწახნაგა. ქვემოთ საგრძნობლად წვრილდება და ქმნის პირამიდის მოყვანილობის წვეტს. რგოლი გვერდებზე პირხსნილია (2 ც.);

ბალთა ოქროსი. წარმოადგენს სწორკუთხოვან ოქროს ფირფიტას შიგ ჩასმული აღმანდინის ნუშისებრი თვლით. ბალთის ოთხივე კუთხე შემკულია კონუსის მოყვანილობის შევრილებით. ზურგზე დარჩილულია ოთხი ყუნწი. ბალთის სიგრძე — 1,71; სიგანე — 1,4, სისქე — 0,1 სმ. გარდა აღწერილი ცალისა სამარხში აღმოჩნდა კიდევ თოთხმეტი მსგავსი ბალთა. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ თელების მოყვანილობით;

ღილები ოქროსი (6 წ ც); ნახევარსფერული მოყვანილობის; ღრუში ჩარჩილულია ყუნწი. გაკეთებულია თხელი ფირფიტოვანი ოქროსაგან;

ბეჭედი ოქროსი. რკალი მრგვალი ჰაკეთულისაა; ერთ ბოლოში გაყრილია სარდიონის შინდის ნაყოფის ფორმის მძივი. მეორე ბოლო ზემოდან გადადის მძივზე. მავთულის ბოლოები გადაგრეხილია რგოლის მხრებზე;

ბეჭედი ვერცხლის, წინამავლის მსგავსი; ოღონდ სარდიონის ნაცვლად შემკულია პასტის მძივით;


ბეჭედი ვერცხლის. მასიური; შორიზონტალურ მხრებიანი; რკალი, რომელიც თვალბუდისაკენ ფართოვდება, ოვალური მოყვანილობის თხელ ფირფიტაში — ბუდის ძირში გადადის. მასზე ბუდეა დარჩილული. ბუდის ნაპირები ოდნავ გადმოკეცილია ზემოდან გემაზე. სარდიონის გემაზე ამოკვეთილია არტემიდა მშვილდ-ისრით; ფეხებთან ძალღია გამოსახული.

ბეჭედი ვერცხლის. წინამავლის მსგავსი; ოღონდ შედარებით მომცრო. ოვალური მოყვანილობის სარდიონის გემაზე გამოსახულია ტიხე-ფორტუ-




605-ე თიხის ფილასმარხი გახსნის შემდეგ. 605-ე погребение после вскрытия.

ვერცხლის ბეჭდები 605-ე თიხის ფილასმარხიდან.




Серебряные перстни с 605-го погребения.

ოქროს ბოლოებგადაგრებილი ბეჭელი და საურრეები 605-ე სამარხიდან.




Золотой перстень и серьги из 605-го погребения.

605-ე სამარხი გახსნის შემდეგ.



605-ое кирпичное погребение после вскрытия.

ოქროს ბალოები 605-ე სამარხიდან.



Золотые бляхи из 605-го погребения.

ნა. ღვთაების გამოსახულება მოცემულია პირდაპირ, სახით მარცხენა პროფილში; მარჯვენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს, მარცხენათი საჭეს ეგრდნობა;

ბეჭედი ვერცხლის. ოდნავ შებრტყელებულ და გვერდებისაკენ განზიდულ რკალს მცირედ გამოყოფილი პორიზონტალური მხრები და ოვალური მოყვანილობის თვალბუდე აქვს. გემაზე გამოსახულია არწივი, მარჯვნივ მიბრუნებული თავით. ნისკარტში გვირგვინი უჭირავს. მარცხნივ გამოსახული უნდა იყოს რომაელ ლეგიონერთა ნიშნები;

ბეჭედი ვერცხლის. მრგვალ რკალს ოდნავ განზიდული პორიზონტალური მხრები ამკობს. ოვალური თვალბუდე ზედვება ამოჭრილი. მასში ჩასმულია კონუსური მოყვანილობის ოვალი;



რგოლი ვერცხლის. დამზადებულია წერილი, განივიკვეთში თულისაგან. ბოლოებგახსნილი;

საკინძი ვერცხლის. თოთხმეტნახნავა თავით;

სარკე ბრინჯაოსი, მრგვალი, ოდნავ ჩახუნქნილი;

მძივები, სხვადასხვა (ალმანდინის, სარდიონის, აქატის, პასტის, მინის). გამოირჩევიან ფორმების მრავალფეროვნებით (თოთხმეტნახნავა კვირისტავის, კასრისებრი, შინდის ნაყოფის მოყვანილობის და სხვა). განსახილველი სამარხის ინვენტარი იყოფა ორ ჯგუფად: ადგილობრივი, ქართულ-ოქრომჭედლური სკოლის ნაწარმი (ოქროს საყურეები, ოქროს ბალთები და ლილები) და იმპორტი, მომდინარე რომის იმპერიის სახელოსნო ცენტრებიდან (ვერცხლის ბეჭდები, რომელთა გემებზე გამოსახულია ბერძნულ-რომაულ სამყაროში ცნობილი სიუჟეტები, მინის ჭურჭელი და სხვ.). ორივე ჯგუფის ნივთებს მრავლად ეძებნება პარალელები, როგორც დიდი მცხეთის, ასევე შედარებით დაშორებულა პუნქტების რომაული ხანის სამაროვნებიდან. კერძოდ, განსახილველ კომპლექსში შეგავალი ოქროს საყურეების ანალოგები ცნობილია არმაზისხევის, სამთავროს, თრიალეთის, ერწოს და სხვა სამაროვნებიდან. მკვლევართა ნაწილი ამ ტიპის საყურეებს II საუკუნეს მიაკუთვნებს², ნაწილი III საუკუნეს³. მცხეთა პირველის ავტორები არმაზისხევიდან მომდინარე საყურეებს III საუკუნის მე-2 ნახევრით ათარილებენ⁴.

განსახილველი კომპლექსის საინტერესო ნაწილს შეადგენს ბეჭდები, რომლებიც თავის მხრივ ორ ჯგუფში ერთიანდებიან. პირველ ჯგუფს ქმნიან პორიზონტალურმხრებიანი ბეჭდები, რომელთა გამოჩენა III საუკუნეზე მოდის, ბეჭდების ეს ტიპი ფართოდაა გავრცელებული რომაული სამყაროს მთელ ტერიტორიაზე⁵. ამ ჯგუფში შემაველი ოთხი ბეჭდიდან სამი გემიანია, ხოლო ერთის თვალბუდეში ჩასმულია კონუსური მოყვანილობის მწვანე მინის თვალი. განსახილველ გემებზე, როგორც უკვე ითქვა, გამოსახულია ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი სიუჟეტები. კერძოდ, ერთ-ერთ გემაზე გამოსახულია არნივი, რომის სახელმწიფოსა და არმიის მთავარი ღვთაების იუპიტერის სიმბოლო. ტაციტის სიტყვებით, არნივს თავიანთ სცემდნენ რომაელ ლეგიონერთა უკლებლივ ყველა პანაკეში (Tac Ann 11, 12). რომაული ლეგიონერების სიძლიერის სიმბოლოს გამოსახულება გვხვდება, როგორც გემებზე, ასევე ბალთებზე, ჭურჭელზე და სხვ. ხშირია არნივის გამოსახულება საკურთხეველზე⁶.

ფართოდაა გავრცელებული ტიხე-ფორტუნას გამოსახულებაც, იგი გვხვდება მთელი იმდროინდელი სამყაროს ტერიტორიაზე. ჩვენში მიკვლეულია დიდი მცხეთის, ურბნისისა და სხვა პუნქტების რომაული ხანის სამაროვნებზე.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გემა არტემიდეს გამოსახულებით, რომლის ანალოგი საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარე მასალებში ჩვენთვის უცნობია. აღნიშნულ გემას პარალელები ეძებნება რომის იმპერიის პროვინციებიდან.

ბეჭდების მეორე ჯგუფს შეადგენს გადაგრეხილობოლებიანი ოქ-

როსა და ვერცხლის ბეჭდები. მსგავსი ბეჭდები უკვე ძვ. წ. IV ს. ცნობილ ჩვენში მსგავსი ბეჭდები ახ. წ. III საუკუნეში ჩნდებიან.

განსახილველი სამარხეული კომპლექსიდან ყურადღებას იქცევს ოქროს ბალთები. მათ ზუსტ ანალოგს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, როგორც საქართველოს, ასევე შედარებით დაშორებული პუნქტების თანადროულ თუ სხვა პერიოდის მასალაში. ათმცა უნდა ითქვას, რომ საერთო იერ-სახითა და დამზადების ტექნიკით, ახლოს დგანან ჩვენში მიკვლეულ, ადგილობრივი ოქრომჭედლური სკოლის ნაწარმთან.

სამარხეული ინვენტარის ის ნაწილი, რომელსაც აქ არ შევხებივართ (მინის სანელსაცხებლე, ბრინჯაოს საკინძი, მძივები, ოქროს კილიტები), განხილული მასალის მსგავსად, ფართოდ არის გავრცელებული როგორც ჩვენში, ასევე ანტიკური სამყაროს მთელს ტერიტორიაზე.

ბონე-თიხის ფილასამარხის ინვენტარი შედგება II-III სს; ძირითადად კი მინც, III ს. ნივთებისაგან. ამდენად, არ შევცდებით, თუ განსახილველ კომპლექსს სწორედ დროის ამ მონაკვეთით, ე. ი. III საუკუნით დავათარილებთ.

განხილული ნივთები აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის ძელებში. მეორე მიცვალებულის ჩონჩხთან არც ერთი ნივთი არ ყოფილა დადასტურებული. ამას თუ დავუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ ეს უკანასკნელი დაუსვენებიათ გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ, ხელები ბოქვენზე დაკრეფილი, ე. ი. ქრისტიანული სამკვდრო წესის თითქმის ყველა ნიშნის დაცვით, გამოდის, რომ საქმე გვქონია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე გამართულ ქრისტიანის საკრძალავთან.

ბოლო წლებში ქრისტიანობის ადრეული ეტაპის სამარხეულ ძეგლთა ხშირი აღმოჩენის შემთხვევები, გვაძლევს საფუძველს, ნდობით მოვეკიდოთ ეროვნულ ნარატიულ წყაროთა ცნობებს ქართლის სამეფოში, კერძოდ კი დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული თემების არსებობის შესახებ.

¹ Иващенко М. М., Самтаврские погребения I—III вв. н. э. Мухета III, 1980. აღ. კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სამარხიანი მცხეთაში, მიმოხილველი, I, თბ., 1947, გვ. 259-287; მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბ., 1978, გვ. 123, 124, 126 და ა. შ. თ. ბიბილოტი, მცხეთის სამარხ ნაგებობათა ახალი საბუბო, სსამ, 93, № 2, გვ. 505-508.

² Иващенко М. М., შიო. ნაშრ., გვ. 103.
3. რ. რამიშვილი, შიო. ნაშრ., გვ. 90.

⁴ მცხეთა, I, გვ. 201.

⁵ Henkel, F. Die römischen Fingerringe der Reinlande, Berlin, 1913.

⁶ შ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგმები, I, სამთავროს სამარხიანში მოპოვებული გეგმების კატალოგი, თბ., 1954; მისივე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგმები, II, არმაზისხევისა და ბაგინეთში აღმოჩენილი ძეგლები, თბ., 1958; ქ. ჭავჭავაძე, ურბნისის ნაქალაქარის გლიბტიკური ძეგლები, თბ., 1972.

⁷ Domaszewsky A., Die Religion, des romische Heers – Westdeutsche zeitschrift, 1895, Bd. 14, s. 19.

⁸ Галанина Л. К., Курджанский курган, Л., 1980, с. 90.

სარაჩლოს პირცხლის მონეტაჰი

ამ ბოლო დროს დამკვიდრდა და ტრადიციად იქცა კულტურის ძეგლთა დაცვა-განმენდა და რესტავრაცია სტუდენტ-ენტუზიასტთა მონაწილეობით. ერთ-ერთ რაზმს შეადგენს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი-ენტუზიასტები.

1979 წლის აგვისტოს თვეში ისინი სარესტავრაციო სამუშაოს ანარმობდნენ ბოლნისის რაიონის სოფ. სარაჩლოს, ყოფილ მანხუტის მიდამოებში მდგომ VI-VII სს. ხუროთმოძღვრულ ძეგლზე.

ამ რესტავრაციის პროექტის ავტორი, არქიტექტორ-რესტავრატორი იოსებ ბანძელაძე და ფიზიკოსი თამაზ კილაძე განმენდით სამუშაოების ნაწილობრივი მოთავების შემდეგ წამოსვლას აპირებდნენ, მაგრამ „ნამოსასვლელად გული არ გვიწევდაო“ — ამბობს იოსებ ბანძელაძე — „თითქოს რაღაცა მანუხებდა; მინდოდა ქვემო ეკლესიის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხის დაზვერვა“.

წამოსვლის დღეს — 13 აგვისტოს, სწორედ დასახელებული ადგილი განმინდეს. ეზოს თავდაპირველ დონეზე, ნაყარ მიწაში, 8მ სმ სიღრმეზე აღმოჩნდა 10 ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი. იქვე იყო შავი ფერის თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, ჩანს, განძი ამ ჭურჭლით ყოფილა დაფლული. ჭურჭლის გადარჩენილი ფრაგმენტები — ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს არქეოლოგიის განყოფილებას გადაეცა და იქვეა დაცული, მაგრამ არა ნამტვრევებად, არამედ უკვე აღდგენილი სახით. ჭურჭელი წარმოადგენს ქოთანს. განყოფილების გამგემ, ბაადურ მჭედლიშვილმა მას თავდაპირველი ფორმა აღუდგინა. ასე მოღვაწეობენ ჩვენი წარსულის მაცნეთა „დარაჯები“. მონეტები კი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის — რუსუდან მეფისაშვილის მეშვეობით მპოვნელებმა იოსებ ბანძელაძემ და თამაზ კილაძემ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს შესწირეს, რისთვისაც მუზეუმის დირექციის მადლობა დაიმსახურეს.

ამრიგად, რაზმმა ერთდროულად ორი დიდი ეროვნული საქმე შეასრულა, ჯერ ერთი ის, რომ ჩვენი წარსულის დიდი კულტურის მაუნჯებელი არქიტექტურული ძეგლი გაიმინდა და მას, პირვანდელი სახე დაუბრუნდა; მეორე ის, რომ განძის მონეტები გადარჩა და ამით ჩვენი ქვეყნის ისტორიას, მართალია, მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობა შეემატა.

გადარჩენილი ათივე მონეტა ბიზანტიური პეკსაგრამებია. ისინი კეისარ ირაკლის სახელთანაა დაკავშირებული და მოჭრილია მაშინ, როდესაც მან სხვა ღონისძიებებთან ერთად ბიზანტიის საკეისროში საფინანსო რეფორმა გაატარა და მოაჭრევინა მძიმე წონის მონეტა პეკსაგრამი.

ეს მონეტები კი სახელდობრ, მაშინაა მოჭრილი, როდესაც თანამოსაყდრედ დასვა თავისი ძე ირაკლი — კონსტანტინე (615—632 წწ).



ვერცხლის მონეტა სარაჩლიდან.



Серебряная монета из Сарачло.

მოგვეყავს მონეტების აღწერილობა

შ უ ბ ლ ი: სამეფო ტახტზე მჯდომი, მარცხნივ ირაკლი წვეროსანი, მარჯვნივ ირაკლი — კონსტანტინე, უწვერული, ორივე ჯვრიანი გვირგვინით, თითოეულს მარჯვენა ხელში ჯვრიანი სფერო უპყრია, თავებს შორის მომცრო ჯვარი; ირგვლივ ლათინური ზედწერილი.

ზ უ რ გ ი: ჯვარი დაშვებულია სფეროზე და სამსაფეხურიან კვარცხლებეზე (გოლგოთაზე). მარჯვნივ ასო K, გარშემო ლათინური ზედწერილი.

გატარებულმა ღონისძიებებმა და ირანში არსებულმა ვითარებამ ბიზანტიას შესაძლებლობა მისცა თავის მუდმივ მოქიშპეს შებრძოლებოდა; იგი ირაკლის მეთაურობით, საქართველოზე გავლით, შეიჭრა ირანში და გაიმარჯვა.

ამრიგად ბიზანტიასა და ირანს შორის ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოსათვის დამთავრდა ბიზანტიის გამარჯვებით. „ლაზიკა ისევ ბიზანტიის მფარველობაში დარჩა... იბერიაც სპარსთა ბატონობას ხელიდან გამოაცალეს ბიზანტიელებმა“¹. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში სრულიად კანონზომიერია ბიზანტიური მონეტების შემოსვლა საქართველოში და აქვე განიხილავთ.



ამ რიგისაა სარაჩლოს ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც XVI საუკუნის ოცდაათიან წლებში უნდა იყოს დამარხული.

ნიშანდობლივია, რომ 1936 წ. ამავე რეგიონში, თეთრიწყაროს რაიონის სოფ. წინწყაროში, აღმოჩნდა ვერცხლის მონეტები (ალბათ განძი) რომლის ერთი ცალი არქეოლოგ მ. ივაშჩენკოსათვის უჩვენებიათ. მ. ივაშჩენკოს განსაზღვრით, მონეტა ირაკლი და ირაკლი — კონსტანტინე ჰეკსაგრამი ყოფილა². შესაძლოა, ამავე განძიდანაც არის ის ჰეკსაგრამი, რომელიც აღმოჩენილია წინწყაროში და შემოსულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში³. გარდა ამისა, განძებად აღმოჩენილია ჰეკსაგრამები 1902 წ. მცხეთის მახლობლად — ნავთსადენთან⁴, და ოდიშში, ხოლო ცალკეულ ცალებად მოპოვებულია: ქორეთში, ქანდრებში, ყებოტაში, არმაზხევეში, აკაურთაში, ჩამოთვლილ ცნობათა თანახმად, საქართველოს მინა-წყალზე ირაკლის ვერცხლის მონეტები, მხოლოდ ჰეკსაგრამებია აღმოჩენილი, როგორც განძებად ისე ცალკეულ ცალებად. ამასვე ადასტურებს სარაჩლოს განძიც.

დამახასიათებელია, რომ შერეულ განძებშიც (თბილისი⁵, მაგრანეთი⁶, წითელწყარო⁷) მხოლოდ ჰეკსაგრამების აღმოჩენებია დადასტურებული.

ბიზანტიურ მონეტების გავრცელება და კერძოდ ირაკლის ჰეკსაგრამების აღმოჩენათა ტოპოგრაფია გვარწმუნებს, რომ როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო ბიზანტიასთან არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული.

ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს მტკიცებისათვის, რომ, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში ირაკლი კეისრის მხოლოდ ჰეკსაგრამებია მოპოვებული. ყოველ შემთხვევაში ასეა დღემდე.

1. ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 268.
 2. Пахомов, Е. А. Монетные клады Азербайджана... Вып. III 1940, стр. 32. № 792.
 3. ი. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, 1966, გ. 126.
 4. Такайшвили, Е. С. Краткий отчет о раскопках... близ с Мцхет. Известия Кавказского отделения... Московского археологического общ-ва, 1904, стр. 79; Е. А. Пахомов, Монетные клады, I, 1926, № 67.
 5. Пахомов, Е. А. Монеты Грузии, 1970, стр. 30.
 6. ირ. ჯალაღანია, სისანური და ბიზანტიური მონეტების განძი სოფ. მაგრანეთიდან, „მეცნიერება“, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, №4, 1975 გვ. 123—131. აბრამიშვილი, Т. Я., Клад из Магранети, Нумизматический сборник, 1977, стр. 73—82.
 7. ირ. ჯალაღანია, სისანური და ბიზანტიური ფულის განძი წითელწყაროდან, „მეცნიერება“ №53, გვ. 58—61.

მედლების მეორე რესპუბლიკური გამოფენა

ამას წინათ მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზებში გაიხსნა ქართული მედლის მეორე რესპუბლიკური გამოფენა, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი.

სამედალო ხელოვნება მჭიდრო კავშირშია სკულპტურასთან. სკულპტურა სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი სახეა, რომელიც ასახავს რეალურ ცხოვრებას და ისეთ განსაკუთრებულ მეთოდებსა და ხერხებს იყენებს რაც საშუალებას აძლევს მოცულობით-სივრცობრივ გამოსახულებაში წარმოადგინოს მატერიალური სხეულები. მიუხედავად ამისა, ფერწერასთან შედარებით მისი მოქმედების სფერო ბევრად შეზღუდულია. ფერწერა მოიცავს მსოფლიოს ყველა ფერს, გადმოგვცემს ისეთ მოვლენებს, როგორცაა სინათლე და ჩრდილი, ბურუსი და ჰაერი, რაც სკულპტურისათვის მიუღწეველია. რაც შეეხება სამედალო ხელოვნებას, მისი მოქმედების სფერო კიდევ უფრო შეზღუდულია სკულპტურასთან შედარებით, ვინაიდან მოკლებულია სამ განზომილებაში წარმოდგენის უნარს. მიუხედავად ამისა, მედალს თავისი ღირსებაც გააჩნია, ის ხომ ფაქტიურად სკულპტურულ ძეგლს წარმოადგენს მინიატურაში. მცირე ზომა, ბუნებრივია, ნაკლებ დანახარჯს საჭიროებს თავის წარმოსახვაზე, რაც საშუალებას აძლევს გამოეხმაუროს ნებისმიერ მოვლენას. სწორედ ამაში გამოიხატება მისი აქტუალობა. მედალს მთელი მსოფლიო შეუძლია მოიაროს და გააცნოს თავისი ხალხის, თავისი ეპოქის ისტორიული მოვლენები.

შეიძლება ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში საქართველოში დიდი ყურადღება მიექცა სამედალო ხელოვნებას. თუმცა მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მას ღრმა ტრადიცია გააჩნია.

1979 წელს თბილისის საგამოფენო დარბაზ „მერანში“ მოეწყო პირველი რესპუბლიკური გამოფენა. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ჩვენი, (სასოფლო-სამეურნეო) ინსტიტუტის სტუდენტობაც გამოეხმაურა, ახალგაზრდობა აღფრთოვანებაში მოიყვანა მინიატურული რელიეფის (რომლის ხელისგულზე მოთავსებაც კი შეიძლება) შესაძლებლობამ, წარმოდგენილი თემატიკის მრავალფეროვნებამ.

1982 წ. მეორედ მოეწყო სამედალო ხელოვნების გამოფენა. თუ პირველ გამოფენაზე 80-მდე ავტორის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, მეორეზე მათი რიცხვი ბევრად გაიზარდა. ამ გამოფენებში მონაწილეობას ლეზულობდნენ, როგორც პროფესიონალი მხატვრები, მოქანდაკეები და არქიტექტორები, ასევე ახალდამწყებნიც, რომელთაც პირველად გამოსცადეს თავისი თავი სახვითი ხელოვნების ამ ორიგინალურ და საინტერესო სახეობაში. უკვე ნაცნობი გვარების გვერდით, როგორცაა — მ. ბერძენიშვილი, ლ. გოცირიძე, ნ. მიქაბერიძე, რ. შეროზია, გ. შხვატაბია და სხვ, — ბევრი ახალი შემოქმედის ნამუშევარი იპყრობს ყურადღებას.

გამოფენაზე წარმოდგენილი მედლების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია, რაც არც არის გასაკვირი. ისინი ჩვენი ცხოვრების ყველა



საიუბილეო მედალი მიძღვნილი „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავისადმი. მედლის ავტორი თეიმურაზ ნაცვლიშვილი.



Юбилейная медаль, посвященная 1500-летию «Мученичества Шушаник». Автор медали Т. Нацвлишвили.

მნიშვნელოვან მომენტს ეხმაურებიან, როგორცაა — ხელოვნება, სპორტი, შრომა, გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები, საიუბილეო თარიღები და სხვა. თემის მნიშვნელობას და საჭიროებას, მის ხალხურობას, პირველ რიგში განსაზღვრავს ავტორის იდეურ-შემოქმედებითი, მსოფლმხედველური პოზიცია, მისი შერწყმა ხალხთა მასების ბედთან, მისი ინტელექტუალურ-სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალის სიღრმე. სწორედ ეს ელემენტები უდევს სიფუძვლად საბჭოთა ხელოვნების ხალხურობას, სწორედ ამ ელემენტების მიხედვით არის ძირითადად აგებული წარმოდგენილი ავტორების თემატიკა. ყველა ისინი პატარა შედევრებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება კომპოზიციის მიხედვით და გამოირჩევა შესრულების მაღალი დონით. ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის ნამუშევრებში მკაფიოდ გამოსჭვივის ერთგულება საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო ტრადიციების მიმართ, სწრაფვა დიადი მიღწევების განუმეორებელი მოვლენების ასახვისაკენ.

ყურადღებას იპყრობს ი. ნიკოლაძის მიერ შექმნილი შოთა-რუსთაველის გახმაურებული პორტრეტი, რომელთა მთელი სერია შექმნა მან შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მეტად გონებამახვილური და ზედმინევენით ზუსტად შესრულებული დეტალით — გამოსახულების თავთან ამოჭრილი სეგმენტით — შეკრა კომპოზიცია, რითაც პარმონიული მთლიანობა მიანიჭა რელიეფს. სწორედ ასეთად დამკვიდრდა რუსთაველის სახე ჩვენს წარმოდგენაში და ფართოდ გავრცელდა თაბაშირის, ტერაკოტის, ალუბასტრის პირების სახით.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მ. ბერძენიშვილის ტირაფირებული მედელები. უდაოდ ყურადღების ღირსია თ. ნაცვლიშვილის, მ. ივანიშვილის,



მ. მიქაბერიძის, ნ. ჯიქიასა და უ. ქადაგიშვილის ნამუშევრები. შესანიშნავი ნაწარმი პორტრეტული ხასიათის ციკლი წარმოადგინა ს. დილბარიანმა.

ცალკე უნდა აღინიშნოს თვითნასწავლი მხატვარი ქალების — ლ. პორტნოვას და ე. ჩეჩელაშვილის მიერ წარმოდგენილი ფლორისტული ხელოვნების ნიმუშები. შეუძლებელია აღფრთოვანების გარეშე აღიქვა ლ. პორტნოვას მიერ ჩალისაგან დამზადებული მინიატურები — ძველი თბილისის ხედები.

გამოჩენილმა კოლექციონერმა ბ. ვოსკობოინიკმა შესანიშნავი მედლების მთელი ციკლი წარმოადგინა. მის კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია XVII ს. რუსულ მედლებს. ამ კოლექციამ ნათლად დაგვანახა ამ ხელოვნების უდიდესი შესაძლებლობანი.

თავისი პირველი ნამუშევრები წარმოადგინეს პირველი და 151-ე საშ. სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც კერამიკაში და პლასტიკაში წარმოდგენილ ნიმუშებში ჩააქსოვეს თავისი ბავშური ფანტაზია და ლტოლვა ამალბებულისაკენ.

ინტერესს იწვევს რ. დვლიანიძის მიერ წარმოდგენილი ქართული ხელოვნების საგანძურის პირები, თაბაშირში შესრულებული ნიმუშები... გრეთვე ის მრავალრიცხოვანი ჯილდოები, რომლებიც დაიმსახურა ქართულმა ღვინოებმა და კონიაკებმა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებზე.

სპეციალურად აღნიშვნის ღირსია ამ ორივე გამოფენის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, სამედალო ხელოვნების დაუცხრომელი პროპაგანდისტის ლ. ქველიძის ნამუშევრები. მან პორტრეტების მთელი გალერეა წარმოადგინა. სკულპტორი ლ. ქველიძე დამსახურებულად ითვლება. სამედალო ხელოვნების წარმომადგენლად საქართველოში. მის მიერ წარმოდგენილ 200-ზე მეტ ნიმუშში იგრძნობა ხელოვნის ინდივიდუალობა და უზომო ფანტაზია, შრომის სიღამაზე, პარმონიულობა, იდეური სიმტკიცე.

სამედალო ხელოვნების პოპულარიზაციას ძალიან ამუხრუჭებს მედლების ტირაჟირების საოცრად დაბალი დონე. ჩვენი, ყველა ნამდვილი მამულიშვილის ვალია, არ დაიშუროს ძალ-ღონე, რათა თავისი ყურადღებითა და ინტერესით გარკვეული წვლილი შეიტანოს ამ უდაოდ მშვენიერი ხელოვნების დასამკვიდრებლად, მისაღწევი გახდეს ფართო მასებისათვის, რაც შეუძლებელია მისი ტირაჟირების გარეშე.

კოლექციონირება ძალიან პოპულარული გახდა ჩვენს ქვეყანაში და რაც მთავარია, ამალღდა ამ გატაცების საზოგადოებრივად სასარგებლო მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს საბჭოთა ადამიანის სულიერი ზრდის საშუალებას. იგი მშრომელთა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად იქცა.

იმედია ეს გამოფენა ხელს შეუწყობს სახვითი ხელოვნების ამ საინტერესო სახეობის შემდგომ განვითარებას.

უდაბნო

სიტყვა „უდაბნო“ ქართულ წერილობით ძეგლებში უძველესი დროიდან დასტურდება. ამ სიტყვის ძირია „დაბ“, რომლისგანაც ბევრი სიტყვაა ნაწარმოები ქართულში: დაბა (დაბანი, დაბნები, დაბნი) დაბალი, დაბლობი, მდაბალი, მდაბიო, მდაბიური, სამდაბიო, უდაბური და სხვ.

„დაბა“ უკვე „შუშანიკის წამებაში“-ა, დადასტურებული: „მოვიდა დაბასა. რომელსა სახელი ჰქვინა ცურტაჲ“. ამ დროიდან მოკიდებული „დაბ“ ძირიანი სიტყვები მრავლად იხმარება ბიბლიურ თუ სხვა ტექსტებში.

ტერმინი „დაბა (//დაბანი)“, რომლისგანაც სიტყვა „უდაბნო“ წარმოიშვა უ-ო კონფიქსის მეშვეობით, პირველად ნიკო მარმა განიხილა და აღნიშნა, რომ „დაბა“-ს ამოსავალი ფორმა „დაბანი“ უნდა ყოფილიყო, რომელშიც მან გამოჰყო პრეფიქსი „და“-¹

ივ. ჯავახიშვილმა გაიზიარა ნ. მარის მოსაზრება და თავის მხრივ შენიშნა: „ამ სიტყვას თავდაპირველად დამუშავებული მიწისა და ნახნავის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და სვანურში „დაბ“ ეხლაც ხნულსა ნიშნავს“. სომხური და ბერძნული წყაროების კრიტიკული შესწავლა საფუძველს აძლევს მეცნიერს დაასკვნას: „დაბას“ ეს „მნიშვნელობა სამწერლობო ქართულშიც ჯერ კიდევ V ს. შენარჩუნებული ჰქონდა.“²

სხვა აზრისაა არნ. ჩიქობავა. „დაბ“ ძირის პირვანდელ მნიშვნელობად მას „მიწა“ მიაჩნია. „დამუშავებული მიწა“, „დასახლებული ადგილი“ დაბის გვიანდელი შინაარსია („საფუძველი: სვან. დაბ“ „ყანა“, მეგრ. დობერა (// დობირა) — სახნავი მიწა (დაბლობში?“). მეცნიერი მართებულად მიიჩნევს „დაბანის“ მარისეულ აღდგენას „დაბი“-ს თავდაპირველ ფორმად, მაგრამ პრეფიქს „და“-ს გამოყოფაში არ ეთანხმება წინამორბედს.³

„დაბა“-ს ს. ჯანაშიაც შეეხო და იგი ნ. მარივით დაჰყო: „და-ბანი“. „ბანი/ვანი“ მან „სახლის“ მნიშვნელობით გაიგო... „ბანი/ვანი“, მ. ანდრონიკაშვილის აზრით, სპარსული წარმოშობის სიტყვად ჩანს. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ საიდან და როდის მიიღო „დაბამ“ შინაარსი „მიწა, დაბალი“, უცნობია. მეცნიერისათვის აქ ნათელი იყო მხოლოდ ერთი რამ: „გორელი კაცისათვის მისი სამეურნეო ადგილი — მიწა — დაბალს რომ უკავშირდებოდა, ეს სრულიად ბუნებრივია“.

მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით „დაბა“ მომდინარეობს ძველსპარსულ სიტყვისაგან „დამა“ (ნიშნავს „შენობას“), საიდანაც წარმომდგარა რუსული дом.

როგორც ვხედავთ, მეცნიერთა აზრით „დაბა“ ან ქართულ ნიკადაგზევე უნდა აიხსნას ან უცხო (სპარსული) წარმოშობისად უნდა მივიჩნიოთ.

„დაბა“ სიტყვის მეცნიერული ეტიმოლოგიისათვის საჭიროა გაირკვეს ორი რამ: 1. საიდან წარმოდგება სვან. დაბ და მეგრ. დობ-ირა-ა//დობ-ერა; და 2. თვით ძველსპარსული „დამა“-ს წარმოშობა. შესაძლოა აღმო-



ჩნდეს, რომ სპარსული „დამა“ კი არ არის ქართული „დაბა“-ს გაჩენის მიზეზი, არამედ ორივე ენამ იგი ისეხსა მესამე ენისაგან.

როდის ნარმოიქმნა ტერმინი „დაბა“? თუ ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას გავითვალისწინებთ, ეს სიტყვა უკვე უნდა ჰქონოდა მინათმოქმედს, რომელიც გორაზე სახლობდა, ხოლო „სოფლის, დასახლებული ადგილის, მომცრო ქალაქის“ მნიშვნელობა ამ ტერმინს ადამიანის გორიდან ჩამოსვლისა და გორის ირგვლივ მიწაზე დაბინადრებისას უნდა მიეღო.

„დაბა“ // დაბანი-საგან ნაწარმოები სიტყვა „უდაბნო“ ხშირადაა დადასტურებული ბიბლიურ ტექსტებში: „იყოს ქვეყანა თქვენი უდაბნო...“ „უდაბნოთგან, რომელ არს წინაშე პირსა ეგვიპტისასა...“; „აღიყვანა... უდაბნოდ...“, „უდაბნოსა ადგილსა ვართ...“ და სხვ.

„უდაბნო“-საგან ნაწარმოებია შემდეგი სიტყვები: მაუდაბნოებელი, მეუდაბნოე, უდაბნოას-მკვდრი, უდაბნოას — მოყუარე. მაგალითები: „მაუდაბნოებელი ქუყყანისა ჩუენისაი“. „უდაბნოის-მკვდრ ვიქმენ, ვითარცა იოანე“, „უპოვარი და უდაბნოის-მოყუარე (გამოირჩია ღმერთმან)“.

საბა „უდაბნოს“ განმარტავს როგორც „უშენობის“: „უდაბნო იგი არს, სადა არა არს ყოველადვე შენებულება“.

იღ. აბულაძის განმარტებით, „უდაბნო“-დაუსახლებელი ადგილი, მონასტერი უდაბნოში, მონასტერი¹¹, „გაუშენებელი, დაუსახლებელი ადგილი, „ოკერი“, „უმკვდრო“¹². ეს შეხედულება გაიზიარა და შემდგომ განავითარა ელ. მეტრეველმა: „უდაბნო ეწოდება დაუსახლებელ (უდაბურ), ჩვეულებრივ მთაგორიან ადგილას გაშენებულ სამონასტრო კოლონიას, რომელიც მოიცავს მონასტერს და ამ მონასტერთან დაკავშირებულ ბუნებრივ თუ ხელოვნურ სენაკებს, სადაც მეუდაბნოენი, ანუ ასკეტნი ცხოვრობენ“.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ „უდაბნოს“ სამი მნიშვნელობა მითითებული: „1. დედამინის დაუსახლებელი ნაწილი, ჩვეულებრივ, სრულიად უწყლო და უმცენარო... 2. გადატ. ნაკლებად დასახლებული ან სრულიად უკაცური. მყუდრო, მივარდნილი ადგილი... 3. განმარტებით მდგარი მონასტერი“. „უდაბნოს“ ეს განმარტებანი სრულყოფას საჭიროებს. ამგვარი ადგილის მთავარი დამახასიათებელი ნიშანთვისება ჰავის სიმკაცრეა, რის გამოც უდაბნო თითქმის მთლად მოკლებულია მცენარეულობას... უდაბნოს ჰავა მკვეთრად „კონტინენტურია“...⁷

გაცილებით უფრო თვალსაჩინოდ და შთამბეჭდავად გვიხატავს უდაბნოს „ცხოვრება დავით გარეჯელისაჲ“-ს ავტორი: „ვითარცა მიიწვინეს... მას უდაბნოა (დავით გარეჯისას-ზ. ს.), შეიშთვებოდეს ნყურვილითა და თანად სიცხითა შეიწუებოდეს, რამეთუ ესე ადგილი მრავლად შემწული არს მზისა მცხუნვარებითა მიმართ ზედ-მოყენილთა. ვინაითგან ვორიოთა კრძოდ მყოფი და ყოვლითურთ განმარტებით (განმარტებით?—ზ. ს.). მდებარე უმეტეს ყოველთა აღმოსავლისა სანახებთა სიცხითა მიერ შეიწვების, რომლისა ძლით და წყლისაგან ნაკლებუევან არს და სხუათა ყოველთავე სხეულისა ნუგეშინისმცემელთა საქმართაგან...“

ჰავის სიმკაცრით დავით გარეჯის ტიპისაა შიომღვიმის მონასტერიც. მაგრამ, როგორც ჩანს, მარტოოდენ ამ შინაარსის გამო არ ქცეულა „უდაბნო“ მონასტრის აღმნიშვნელ საზოგადო სახელად. ამას მონაშობს გურიის



(ამაღლებს) უდაბნო (ამ სახელწოდების მონასტრები, კახეთისა და ტურქეთის გარდა, მოქმედებდა ქართლში, ლეჩხუმში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, აფხაზეთში, წყაროსთავს, ზედაზენს, შიომღვიმეს, ქელიშს, ჯრუჭსა თუ სხვაგან. უდაბნო კახეთის ერთ-ერთ სოფელსაც ეწოდება საგარეჯოს — რ-ში), რომელიც შავით მშვენიერ ადგილას მდებარეობს, ირგვლივ ტყე და წყლით მდიდარი მიდამო აკრავს.

სადათა „უდაბნოს“, როგორც „განმარტოებით მდგარი მონასტრის“ გაგებაც. განმარტოებულ, მყუდრო ადგილას ბევრი ქართული მონასტერი აღმოცენდა (მაგალითად. გელათი, საფარა და სხვ.), მაგრამ უდაბნოდ რადი იწოდებოდა.

¹ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, გვ. 39, 43, 44.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, თბ., 1928, გვ. 140-141.

³ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 27.

⁴ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოცდევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 216.

⁵ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 419.

⁶ ელ. მეტრეველი, შუანის უდაბნო — XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმში პალესტინაში, მრავალთავი, V, თბ., 1975, გვ. 34.

⁷ ფიზიკური გეოგრაფიის საცნობარო ლექსიკონი, შეადგინა ელ. გარსევანიშვილმა, თბ., 1976, გვ. 142.

ბენო პაპიაშვილი

ნიჩინის ქალისა

ამ გაზაფხულზე, გახლდით მცხეთის რაიონის სოფ. შუა ნიჩინისში. ეს ძველთაძველი სოფელი გაშენებულია ხეობის კალთებზე; მარჯვენა მხარეს არის გადაშლილი სახნავ-სათესი მიწები და ვენახები, ხოლო მარცხენა მხარეს დაბურული, უღრანი ტყეები; მნახველი მოხიბლული და კმაყოფილი რჩება ბუნების დიდი სილამაზითა და ცივი წყაროებით. ეს ის ადგილია სადაც ა. ანტონოვსკაიას თქმით გიორგი სააკაძე ფარულად თავს უყრდა თავის ლაშქარს.

მე ეს სოფელი და ეს ადგილები ბავშვობაშიც ხშირად მინახავს. ჰველად ამ სოფელში, რომ მოსულიყავით საჭირო იყო სადგ. ქანიდან ბორნით გადაგელახათ მდინარე მტკვარი და ასე 5-6 კმ. ფეხით გაგველოთ. მეხსიერებაში კარგად იღვიძებს ძველი ქართლური სოფლის ვინრო ორლობეები და ბანიანი სახლები, დიახ საცხოვრებელი სახლები, რომელშიც სინათლე ჭერიდან ჩამოდიოდა და ამავე ჭერიდან ადიოდა სახლში ცეცხლის კვამლი. სოფლის შუაგულში მოსჩქეფდა ცივი, ანკარა წყარო, სადაც დღის ყოველ დროს ნახავდით სურებითა და დოქებით ხელში ქალებსა და ბავშვებს.

დღეს ამ სოფელმა მთლიანად იცვალა სახე. აშენებულია ორპართულიანი ოდა სახლები, გაყვანილია კეთილმოწყობილი და მოასფალტებული გზა, ყველა მაცხოვრებლის ეზოში გაყვანილია წყალი. ერთი სიტყვით შექმნილი აქვთ ყველა ის პირობა, რაც თანამედროვე სოფლისათვის არის დამახასიათებელი.

სოფლის განაპირას, იქ, სადაც სასაფლაოა, ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ძველმა ისტორიულმა ძეგლმა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებენ „ნიკოლოზის ეკლესიას“. ხანდაზმულების გადმოცემით დავადაგინე შემდეგი:

„ბატონიშვილმა ბატონმა კათალიკოსმა დომენტიმ, თავის დისშვილებს, ზაზა და ზაალ ციციშვილებს, ურჩია გარდაცვლილი დედის საფლავზე აეშენებინათ ეკლესია (აგებულია 1670—1675წწ). რომელიც ცნობილია „წმინდა ნიკოლოზის“ სახელწოდებით. 1817წ. ამ ეკლესიაში დაკრძალულ იქნა ციციშვილების ქალი თინათინი. თავადი ციციშვილები თავის დროზე მოვალა და პატრონობას არ აკლებდნენ ამ ეკლესიას.

ძველი განეკუთვნება XVII საუკუნეს, რომელიც საკმაოდ რთულ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს თუ წარმოადგენდა, წარმოადგენდა ვამბობ იმიტომ, რომ როგორც არაერთგზის თქმულა და დაწერილა სხვა უნიკალურ ძეგლებზედაც, აქაც იგივე სურათი მეორდება. ძველი მიტოვებულია უყურადღებოდ. გამოჩენილან ვილაც სოფლის ვაი თავკაცები, რომლებსაც შემოუძარცვიათ ძველის გარე პერანგის თლილი ქვები და გადაუტანიათ იმ მიზნით, რომ ამ ქვებისაგან აეგოთ სოფლის სკოლა. როგორც



Церковь в сел. Ничбиси.
Фрагмент.

ნაწილის ეკლესია. ფრაგმენტი.

ჩანს განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ და ეს ქვები ამჟამად ინახება სოფელში არსებულ ძველი ციხის გალავანში.

ეკლესიის კარი დაკეტილია, მაგრამ რა აზრი აქვს დაკეტვას, როდესაც ტერი მთლიანად ჩამონგრეულია, მტრედებს დაუდვიათ მის კედლებში ბინა და წლიდან-წლამდე წვიმა რეცხავს ისედაც ძნელად გასარჩევ ფრესკებს. ერთი სიტყვით საქმე ძალიან საშური არის. ჯერ კიდევ შეიძლება ამ ძეგლის აღდგენა და გადარჩენა, (შეიძლება წაღებული ქვების უკან დაბრუნებაც, სანამ მთლიანად არ დაკარგულა) მითუმეტეს სოფლის ყველა მცხოვრები და ახალგაზრდობა დაინტერესებულია ძეგლის აღდგენით, მხოლოდ ორგანიზაცია არის საჭირო ამ საშვილიშვილო საქმის მოსაგვარებლად.

როგორც ვიცით უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა და ღონისძიებები ტარდება. გამოვიდა ახალი მოქმედი კანონები ჭეგლთა დაცვისა და მათი გადარჩენის მიზნით. აღდგენილი, რესტავრირებულია და გადარჩენილი იქნა ბევრი უნიკალური ძეგლი, რაც შთამომავლობას დაენმარება უკეთ გაეცნოს ჩვენ ისტორიულ წარსულს.

ამიტომ მეც მოვალედ ჩავთვალე თავი მომემართა თქვენთვის „ძეგლის მეგობრის“ რედაქციისათვის, რათა თქვენი კრებულის მეშვეობით ვაცნობოთ იმ ორგანიზაცია — დაწესებულებებს, რომელთაც ძალუძთ ამ ზემოთ აღნიშნული საქმის დროულად მიხედვა და მოგვარება.

სოფელ ხოტჯის ისტორიიდან

სოფელი ხოტჯევი ამბროლაურის რაიონშია, ამბროლაურიდან ნიკორწმინდისაკენ მიმავალ გზაზე. იგი პირველად, ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით, იხსენიება XI ს-ის წერილობით ძეგლში „ნიკორწმინდის დაწერილში“.

ხოტჯევის სახელწოდების შესახებ ლეგენდა მოგვითხრობს: თითქოს იმერეთის ერთ მეფეს გადმოუსახლებია აქ თავადნი წულუკიძენი, რომელიც ციხე აუშენებიათ. როდესაც ციხის შენება დაუმთავრებიათ, სწორედ იმ დროს გზად გაუვლია მეფეს: იგი ციხეში შესულა და თავადებისათვის უკითხავს: „ხო ტჯევიართ ამ ციხეშიო?“ ამის შემდეგ დაურქმევიათ თავადებს ამ ციხისათვის ხოტჯევის ციხე, შემდეგ ეს სახელი მთელ სოფელზე გაერცვლებულა. ადრე კი სოფელს „ბევის უბანი“ ერქვაო. ვინ იყო ეს მეფე, ან როდის მომხდარა ეს ამბავი? ამის თაობაზე ლეგენდა არაფერს ვეაუწყებს.

სოფ ხოტჯევი ისტორიულად წულუკიძეთა სათავადოში, საწულუკიძეოში შედიოდა.

წულუკიძეები საბუთებში პირველად XV ს-ის შუა წლებში იხსენიებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ მამულები უფრო ადრე უკონიათ რაჭაში. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით ვირშულ წულუკიძეს გიორგი მეფისათვის 1451 წ. „გუარეულად ნაქონი მამულის“ დაბრუნება უთხოვია. მეფეს შეუწყნარებია მისი თხოვნა და სოფ. ინა ვირშელისა და მისი მემკვიდრეებისათვის დაუბრუნებია, ე. ი. რაჭაში წულუკიძეთა სამფლობელო XV ს-ის შუა ხანებში დოკუმენტურად დადასტურებულია. საფიქრებელია, რომ XV ს-ის II ნახევარში წულუკიძეთა სამფლობელო რაჭაში იზრდებოდა.

საინტერესოა, როდის მოექცა სოფ. ხოტჯევი წულუკიძეთა სათავადოში? ამის თაობაზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. XVI ს-ის შუა და პოლო წლების დოკუმენტების მიხედვით სოფ. ხოტჯევი სამეფო მამულში ჩანს. 1544 წ. „იმერეთის მეფე ბაგრატ III ნიკორწმინდის ეკლესიას სწირავს სოფ. ხოტჯევიდან 4 კომლ კობახიძეს და 1 კობახიძის პარტახტს. 1591 წ. გიორგი იმერთა მეფე ასევე ნიკორწმინდის ეკლესიას წირავს ხოტჯეულ გლეხებს ნონია დაჩიბერიძეს და გოგიჩა დაჩიბერიძეს.

XVII ს-ის პირველ მეოთხედში იმერეთის მეფე გიორგი III წულუკიძეები შერისხა. შერისხული პაატა წულუკიძე ოდიშს აფარებს თავს — ლევან II დადიანის კარს, სადაც იგი ძალზე დანიშნურდა. ამავე დროს, როგორც ჩანს, პაატა წულუკიძე იმ ჯგუფშია, რომელიც ებრძვის კახთა მეფე თეიმურაზ I და იმერეთის მეფე გიორგი III. წულუკიძეები შერისხულნი არიან გიორგი III-ის მომდევნო მეფის ალექსანდრე III-ის დროსაც, მხოლოდ ალექსანდრეს მომდევნო მეფე ბაგრატ IV (1660-1681 წ.) შემოირიგა ისინი. სწორედ ამ დროს მერაბ წულუკიძე არამარტო იბრუნებს მამულებს რაჭაში, არამედ ყმა-მამულსაც შემატებს მას. აგარის წმინდა გიორგის



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

ეკლესიისათვის შეწირული ვერცხლის ფეხსუმის და ხოტევის
ეკლესიის ნარწერებში ეს გარემოება საგანგებოდაა აღნიშნული. საფიქრ-
ბელია, რომ სწორედ ამ დროიდან, ე. ი. XVII ს-ის 70-იანი წლებიდან მოექ-
ცა სოფ. ხოტევი საწულუკიძეოში.

წულუკიძეების რეზიდენცია ხოტევეში იყო. აქვე ყოფილა მათი კარის
ეკლესია და საგვარეულო სასაფლაო. მათ ადგილსამყოფელი პქონდათ აგ-
რეთვე მიქარანშიდაში და ბუგულს. საგვარეულო სასაფლაო პქონიათ მას
ნიკორწმიდაშიც. ავარის წმიდა გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ვერ-
ცხლის ფეხსუმის ნარწერაში საგანგებოდაა აღნიშნული: მერაბ წულუკი-
ძეს ნიკორწმიდის სასაფლაო აუშენებია.

მამულების დაბრუნებისა და შემომატების შემდეგ მერაბ წულუკიძე
სოფ. ხოტევეში მაცხოვრის სახელობაზე აშენებს ეკლესიას. ეს ეკლესია სოფ-
ლის ცენტრში იყო. იგი თლილი ქვისა და კირისაგან ნაშენი უფუმბათო ნა-
გებობა ყოფილა, შიგნით მოხატული. აკად. მ. ბროსე, რომელმაც 1847 წ.
აღწერა ეს ეკლესია, მოკლე ცნობას იძლევა იმის თაობაზე, რომ ეკლესიაში
ყოფილა მერაბ წულუკიძის, მისი ცოლის, ერისთვის ქალის მარების, და-
თუნა წულუკიძის, ლოლოიძის ქალის... პორტრეტები. ამ ფრესკების უფ-
რო ვრცელ აღწერილობას იძლევა აკად. ექვთიმე თაყაიშვილი (ექვთიმე თა-
ყაიშვილმა 1919 წ. ნახა ეს ეკლესია უკვე „გაუქმებული და გავერანებუ-
ლი“). იგი წერს: „ჩრდ. კედელზე, აღმოსავლეთით: წულუკიძე მერაბ, თანა-
მეცხედრე მისი ჩიჯავაძის ქალი ანა. მოჩანს მხოლოდ ანას თავი, დანარ-
ჩენი გაფუჭებულია. ამავე კედელზე, დასავლეთის მხარეზე: ლოლაძის ქა-
ლი (ელენე) კარგად არ მოჩანს, არც მისი ქმრის ფრესკაა დაცული, სამხ-
რეთის კედელზე, დასავლეთის მხარეზე: დათუა წულუკიძე. ფრესკაც სულ
გაფუჭებულია, მხოლოდ თავის ნაწილი მოჩანს. დასავლეთის კედელზე:
ერისთვის ქალი მარეხ“. სახეცა და ტანიც ცუდად არის დაცული, შემდეგ
ამავე კედელზე შემორჩენილია წარწერა „...მერაბის თანამეცხედრე: მისი
შვილი გიორგი! თანამეცხედრე მისი! ჩიქოვანის ქალი ნესტან დარეჯან“. გი-
ორგის სახე მოშლილია, ნესტან დარეჯანის სახე სანახევროდ არის დაცუ-
ლი. საკურთხეველის ჩრდილო ნახევარსვეტზე დაცულია ნიკოლაოზ დონაძეს“.

ეკლესია 1924 წელს დაუნგრევიან ანტირელიგიური პროპაგანდის
დროს. ცალკეულ ქვებს მხატვრობის კვალი კარგად ეტყობოდა 1925 წ.,
როდესაც ისინი გ. ბოჭორიძემ ნახა. ეკლესიას პქონია ნარწერები, რომლე-
ბიც მცირეოდენი განსხვავებული ნაკითხვით გამოცემულია მ. ბროსეს,
ქიტცხაძის, ექვთიმე თაყაიშვილის და გ. ბოჭორიძის მიერ. გ. ბოჭორიძეს
წარწერიანი ქვები საგანგებო ოქმით. ჩაუბარებია ადგილობრივი ხელისუფ-
ლებისათვის დასაცავად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი სკოლის მშენებ-
ლობისათვის გამოუყენებიათ. გ. ბოჭორიძე წერს: „1930 წ. არცერთი მათ-
განი თავის ადგილას აღარ აღმოჩნდა. ყველა შენობაშია დაფარული ერ-
თის გარდა, რომელიც პირიქით გარეთ დევს“.

ნარწერები საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისით. დასავლეთის
კარის თავზე ჩასმული ყოფილა ქვა ზომით 0,71 x 1,38 მხედრული წარწე-
რით:



1. ქ კო ისამებით ქადაგებულ მიუწვდომელო და გარეშემოქმედებულ ნერელო სიტყვაო (სიტყვაო! და (ძალო).
- და თანარსო (და თანაარსო) მამისა და სულისა წმიასაო (წმიდი-საო) მაცხოვარო პირო მლთისაო რათა ვიგულებთ და (აღვა).
3. შენთ ეკლესია ეს შენი ჩვენ წულუკიძემ მერაბ და თანამეცხედრემ ჩვენმა ჩიჯავდის (ჩიჯავაძის) ქა.
4. ღმა სახსრადა და საოხათ სულისა ჩვენისათვის და ძეთა ჩვენთა.
5. გიორგის და ქაიხოსროს წასამართებელთ (წასამართებლათ) აღვა-შენთ და დავახატვინეთ და შევამკვეთ ხატითა და ჯვ.
6. არითა და ნიგნითა მაცხოვარო ხოტევისაო ტაძარი შენი და შეინირე ჩემის ცოდვილის.
7. სულის შესანდობლათ კნინი და მცირე შესანირავი ვინცა შენდობა გვიბრძანო (თ)
8. ღმერთმან (ღმერთმან) თქუნ შეგინდაოს (შეგინდოს) თქვენი ცოდ-ვანი. აღიშენა ეკლესია ესე ქკა სამას.
9. სამოცდა ოთხსა“.

ქრონიკონი სამას სამოცდა ოთხი უდრის 1678 წელს — ასე ათარიღებენ ეკლესიის აშენებას მ. ბროსე, ქიტესაძე და გ. ბოჭორიძე. სამხრეთის კარიბ თაგზე ყოფილა თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა, რომელიც ასე იკითხება.

1. ქ შე მაცხოვარო, გვედრი ვარ მე მერაბ შენის დიდებით.
2. ჩვენ გვარია ქონდათ ეს რაჭა მრავალი კიდის კიდებით.
3. მეცა შევმატე მრავალი არც მტერთა გარდაკიდებით.
4. და ან ნახეთ რა ვქენ ყმანვილმან სოფლისა ანზიდაებით.
5. ქ. პირველ ოდიშსა დავიბყარ მამული მეტად ბერია.
6. მერმე აქ ჩემი სამკვიდრო ყოვლგან მოვშალე მტერია;
7. ინროთას აქათ ხონამდის და ხონიც შიგან ერია.
8. და ან ნახეთ ესე სოფელი, თუ როგორ ბინდის ფერია.
9. ქ. მე დადიანმა გამზარდა ლევან ღვთივ დოვლათიანმან.
10. სრულ მას მონებდა ქვეყანა, დაიპყრო მრავალყმიანმან.
11. სწორ უპოველმან ხმელეთზე, მან ჭკვიანმან და ხრმლიანმან.
12. და ნახეთ, რა უყო სოფელმან ამ მუხანათმან ზიანმან.
13. ქ. შულურად მზრდიდა. მასწავლა ზნეობა, ყოველ-წესები.
14. ნახეთ სოფლისა სიცრუე, სიზმარ ყოფილა ესეები;
15. არ მიაჩნია წყეულსა უარეს უკეთესები.
16. და არვის ვაუთაედების, წავალთ გლახ დანაკუნესები.

გარდა ზემოთმოტანილი წარწერებისა ეკლესიის შიგნით ყოფილა კიდევ ერთი სააღმშენებლო წარწერა, რომელსაც მ. ბროსე პირველი წარწერის განმეორებად მიიჩნევს (იგი წარწერის ტექსტს არ იძლევა), მხოლოდ აღწინავეს: პირველი წარწერისაგან განსხვავებით აქ იხსენიება ანა, მერაბ წულუკიძის მეუღლეო. ქიტესაძე და გ. ბოჭორიძე ამ სააღმშენებლო წარწერას საერთოდ არ ახსენებენ. წარწერა მოტანილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს. ეს წარწერა ფრესკების ირგვლივ ყოფილა შესრულებული შავი საღებავით, მხედრული ასოებით. იგი ასე იკითხებოდა: „მაცხოვარო: ხო-



ტყეისაო: ალვაშენე: მე წულუკიძემან: მერაბ: და თანა: მეცხედრემანე: ჩვენმან: ჩიჯავაძის: ქალმან: ანაი: ეკლესია: ესე: და შევაშენე: ჩაბთოთა და: ჯვართა: და შიგნითა: სადიდებლადა თქვენდა: საოხად: და სახსრად: სულისა: ჩემისა: ძეთა: ჩვენთა: გიორგი: და ქაიხოსროს: წასამართლებლადა: ავაშენე: და დავახატვინე: ქ კ ნა შქოვ ვინც შენდობა ბრძანოთ: ღმნ შენდოს".

ინტერიერში მოთავსებული სააღმშენებლო ნარწერის თარიღის თაობაზე ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „ქორონიკონში შეცდომაა. ჩვენი აზრით ასოები „შ. ქ.“ უნდა ნიშნავდეს „შემდგომად ქრისტესა“, ხოლო „ოვ“ არის ქორონიკონის ასოები, რომელთაც თავში უნდა აკლდეს „ტ“. „ტოვ“ კი უდრის 376 რიცხვს, ე. ი. 1688 წ. ე. ი. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით ეკლესია აშენებული უნდა იყოს 1688 წ. მაგრამ გარეთა კედელზე მოთავსებული სააღმშენებლო ნარწერა რომ სამას სამოცდა ოთხ ქრონიკონს, ე. ი. 1676 წ. ასახელებს?! ერთსა და იმავე დროს ორი სააღმშენებლო ნარწერა გაკეთდა სხვადასხვა თარიღით?!

ჩვენის აზრით, ინტერიერში მოთავსებული სააღმშენებლო ნარწერის თარიღში შეცდომაა, მაგრამ არა ისეთი სახის შეცდომა, როგორც ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნია. შიდა ნარწერის შემსრულებელს თარიღის პირველ ასოდ „ჩ“-ს მაგიერ „შ“ დაუწერია. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და „შ“-ს მაგიერ „ჩ“ უნდა იყოს, მაშინ იქნებოდა ჩქოვ წელს ე. ი. 1676 წელს. ეს თარიღი კი ეთანსშება გარეთა კედელზე შესრულებული ნარწერის თარიღს. აქვე ერთ გარემოებასაც ვაქცევთ ყურადღებას: გარეთა კედლის ნარწერის თარიღი რიცხვითი სახელებით არის მოცემული (სამას სამოცდა ოთხი), ინტერიერის ნარწერის თარიღი კი ქართული ანბანის ასოების რიცხვითი მნიშვნელობით (შქოვ). ჩვენი ვარაუდით: ნარწერის შემსრულებელს შეეშალა და „ჩ“-ს (1000) მაგიერად დაწერა „შ“ (900). ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ექვთიმე თაყაიშვილი კედლის გარეთა მხარეს ვაკეთებული სააღმშენებლო ნარწერის ტექსტს არათუ არ იძლევა, საერთოდ არც ახსენებს მას.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, შეგვიძლია დავასკვნათ: წულუკიძეებს ხოტევი XVII ს-ის 70-იან წლებში შეუერთებიათ თავიანთი მამულისათვის და მაშინ აღშენებიათ კარის ეკლესია.

ხოტევი არის აგრეთვე ციხე. საფიქრებელია, რომ იგი XVII ს-ის უკანასკნელ მეოთხედშია აშენებული (ე. ი. შავერის სახელობაზე აგებული ეკლესიის თანადროულად). ციხე ამჟამად დანგრეულია. 1925-26 წწ.-ში ადგილობრივ მცხოვრებლებს მისი ქვები სახლების ასაშენებლად გამოუყენებიათ. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელ წლებშიც ეზიდებოდნენ ქვებს ციხიდან, ამიტომაც იგი ძალზე დაზიანდა. ციხეს საოოფურები აქვს, მას გარს ერტყა გალავანი, რომლის ნაშთი ამ ოციოდე წლის წინ კარგად შეინიშნებოდა. ციხე ორსართულიანი ყოფილა: ხის კონსტრუქციის ნაშთი დიდი ხნის განმავლობაში შემორჩენილი იყო, რომელიც ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინ გაქრა. ციხის ეზოში იყო წყალსაცავი.

ხოტევის ციხე ძალზე მტკიცე და ძნელად ასაღები ყოფილა. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: XVIII ს-ის პირველ ათეულში დასავლეთ სა-



ქართველოში შინაფეოდალური ომი ატეხილა. იმერეთის მეფე გიორგი 1709 წ. წასულა რაჭის დასამორჩილებლად, წულუკიძე, იაშვილი და ჯაფარიძე ერისთავს მიემხრნენ „ეინათგან იყო გიორგი წულუკიძე სიძე ერისთავისა“. მეფე ჯერ შაორს დადგა, მერე კი წაივდა ხოტევის, მაგრამ „სცნა რა სიმტკიცე ხოტევისა, უკუმოიქცა და მოვიდა იმერეთს“. ხოტევეში არის ტოპონიმი „ნაომარი“. ხომ არაა ეს ტოპონიმი ამ შინაფეოდალური ბრძოლის ნაშთი?

ვახუშტი ბატონიშვილი ხოტევის ციხეს იხსენიებს სოფ. ხოტევის აღწერასთან დაკავშირებით: „ამ ციხის ზეით (კვიტაშვილის ციხე — დ. კ.), ხოტევის წყლის დასავლით, არს ხოტევი და ციხე დიდი, დიდ-შენი“. აკარცულდენშტედტის სიტყვით ხოტევის ციხე მეფემ გადასცა თავად წულუკიძეს (როდის, რომელმა მეფემ? ამის შესახებ გიულდენშტედტი არაფერს ამბობს!). როგორც ზემოთ ვთქვი: ციხე ამჟამად ძალიანაა დაზიანებული, მაგრამ მისი ნაშთის კონსერვაცია, ვლიქრობთ, საჭირო საქმეა.

აკად. გიულდენშტედტის ცნობით, ციხის ქვემოთ არის დამდგარი ტბა, რომელშიც ჰყვავის გავრცელებული (ტალახა ლოტოსი). ამჟამად ტბა აღარაა (იმ ადგილს „ნატბეურას“ უწოდებენ). იქ სიმინდის ყანებია.

სოფ. ხოტევი ქვემო რაჭის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. სტოლნიკი ტოლოჩანოვი და დიაკი იეველი 1650-1652 წწ-ში იმერეთში ელჩობის დროს ხოტევის იხსენიებენ იმერეთის ქვეყნის ქალაქებს შორის. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით „სახლოენ აქა (ხოტევის — დ. კ.) ურინი ვაჭარნი და ვაჭრობენ“. საინტერესოა, რომ ხოტევეში შემორჩენილია ტოპონიმი „ურიათუბანი“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იქ ებრაელებს უცხოვრიათ.

სოფ. ხოტევი გზების შესაყარზეა. აქ თავს იყრიან ტყიბულიდან ნაქერალას უღელტეხილით ამბროლაურისაკენ, ასევე იმერეთიდან (შივიანბეთლევი-ველევი-ნკადისი-ხოტევი), სხვაგვარი კვირიკენშიდის გავლით, აგარიდან, კრიხიდან მომავალი გზები. სწორედ ამიტომაც იყო ხოტევი ქვემო რაჭის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი. XIX ს-ში თანდათანობით უპირატესობა მოიპოვა ქუთაისიდან ჩრდ. კავკასიისაკენ მიმავალმა გზამ „ასე რომ ძველმა გზამ (ტყიბული-ნიკორწმიდა-ხოტევი) ძველი მნიშვნელობა დაკარგა. თანდათანობით დაემცრო ხოტევის როგორც სავაჭრო პუნქტის როლიც.

ამჟამად ხოტევი ქვემო რაჭის ერთ-ერთი დანიარუბებული სოფელია (ათწლიანი საშუალო სკოლა, საავადმყოფო, აფთიაქი, სამკითხველო-ბიბლიოთეკა, ფოსტა-ტელეგრაფი..)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭიტცაძე, სოფ. ხოტევი, „ივერია“, 119, 9 ივნისი, 1895.
2. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბილისი, 1981.
3. ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი რაჭაში, თბ., 1963.
4. გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მეზემის შიამბე, ტ. VII, 1931-32, ტფილისი, 1933.
5. თ. ბერაძე, რაჭა ფეოდალურ ხანაში (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, „მეცნიერება“, თბ., 1975.



მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მწერლის და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ნიკოლოზ (ნიკო) ნიკოლოზის ძე კაცხოველის მოღვაწეობა, რომლის ღვაწლის სრულყოფილი ასახვა და შეჭერება მომავლის საქმეა.

ამჟამად როდესაც ბატონი ნიკო ჩვენ შორის აღარ არის, შეიძლება მხოლოდ მოკრძალებული სამადლობელი ითქვას მისი შეუპოვარი, დაუღალავი, დიდად საპირო შრომისათვის, რომელიც ღირსეულმა მამულიშვილმა გასწია საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა წარმოჩენის, დაცვისა და პოპულარიზაციისათვის.

აკადემიკოსი ნიკო კაცხოველი, ჭერ კიდევ სრულიად ურმა, გატაცებული იყო არა მარტო საქართველოს ბუნებით, მცენარეული საფარით, არამედ ქვეყნის



ისტორიული წარსულით და მისი მატერიალური კულტურითაც. ამიტომ შემდეგ ვევით არაა, რომ იგი იმ რჩეულთა შორის იყო, რომლებმაც თავს იდევს ჭაბჭაბუკოთა კავშირში პირველად საქართველოში დაეფუძნებინათ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება.

ბატონი ნიკო იყო არა მარტო საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური ფუძემდებელი და მისი პრეზიდენტის უცვლელი წევრი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, არამედ მისა დაუღალავი მზრუნველი და პროპაგანდისტიც.

თუ დღეს საზოგადოება თავის რიგებში ითვლის მრავალ ასეულ ათას წევრს, თუ საქართველოს ისტორიისა და კულტურის არა ერთი ძეგლი გადაურჩა განადგურებას, თუ არა ერთი ხუროთმოძღვრული ანსამბლი რესტავირებულია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი მოსახლეობის პატრიოტული, ინტერნაციონალური, ესთეტიკურ-ზნეობრივი აღზრდის საქმეში, სხვებთან ერთად აკადემიკოს ნიკო კეცხოველის დიდი წვლილიც არის.

საზოგადოების პრეზიდენტობაში მოღვაწეობის პერიოდში მან აქტიურად აუბა მხარი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის დაარსების ინიციატორთა მამულიშვილურ საქმეს. შემდეგში წლების განმავლობაში ბატონი ნიკო იყო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს აქტიური წევრი, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების კრებულ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და მისი ერთ-ერთი რედაქტორიც.

გაოცებას იწვევდა ის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და მოთმინებას უნარი, რომელსაც იგი კრებულის გამოცემის დროს იჩენდა როგორც რედაქტორი და სტატიების ავტორი.

რომ აღარაფერი ვთქვათ ცოდნის სხვადასხვა დარგში მრავალ მონოგრაფიულ ნაშრომზე, კრებულ — „ძეგლის მეგობრის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მისა სტატიებიც იქმარებოდა იმის დასტურად თუ რაოდენ აქტუალური, ღრმამეცნიერული და შორს გამიზნული იყო მისი სიტყვა და საქმე.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი დაჭილდოვებული იყო დიდი ტალანტით, მას შეეძლო ეწერა არა მარტო ღრმა აკადემიური ნაშრომები, არამედ ყოფილიყო მეცნიერული ცოდნის ბრწყინვალე პოპულარიზატორიც. ქართული ლიტერატურის ძვირფასი შენაძენია მისი სამეცნიერო-პოპულარული წიგნები, რომლებშიც საპატიო ადგილი ეკუთვნის ისტორიისა და კულტურის, საბრძოლო და შრომითი დიდების, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ძეგლებს.

ნიკო კეცხოველის პიროვნება მაღალი ზნეობრიობით, ინტელექტით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე ვინც კი მას იცნობდა, ზოლო მისი მეგობრების, ნაცნობების, პატივისმცემლების რიცხვი კი უსაზღვრო იყო.

აკადემიკოს ნიკო კეცხოველის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო, სამწერლო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ჯეროვნად დააფასა.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი და დაფასებული ერის კაცი, რომელმაც სამარადისო ადგილი დაიმკვიდრა მამულიშვილთა საუფლოში, რომელთა ხსოვნაც არასოდეს იბნდება.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რეპუბლიკური სახარო პრეზიდენტი კრებულ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგია.

წიგნწერა კავშირის მიხედვით

მათი საქმიანობა მისაზიარებლად

1979 წლიდან ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა სტუდენტური გაერთიანება.

გაერთიანებაში თავს იყრიან უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიის და სხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები. მათ აერთიანებთ ერთი მიზანი, შეისწავლონ ისტორიისა და კულტურის ძეგლები და შრომითი მონაწილეობა მიიღონ მათზე წარმოებულ სარესტავრაციო და განმედიო საშუალებებში.

წლების მანძილზე მათ ნაყოფიერად იმპროვის უჯარმაში, ბოქორმაში, ტყემლვანში და სხვა ძეგლების ტერიტორიიდან გაზიდეს ასეულობით კუბური მეტრი ნაშალი მინა, განმინდეს ძეგლები და მათი შემოგარენი, მონაწილეობა მიიღეს აღდგენით საშუალებებში.

გაერთიანებამ 1982 წელსაც წარმატებით იმუშავა. შეიქმნა 3 ჯგუფი. თითოეული საშუალოდ 15 სტუდენტისაგან. პირველი ჯგუფი მუშაობდა თეთრი წყაროს რაიონში მდებარე სოფ. აბელიანის ეკლესიაზე (ჯგუფის ხელმძღვანელი გ. აბაზაძე, არქიტექტორ-რესტავრატორი გ. ქუთათელაძე), მეორე ჯგუფი ყვარლის რაიონის სოფ. გაეაზის „ღვთისმშობლის“ ეკლესიაზე (ჯგუფის ხელმძღვანელი გ. რაზმაძე, არქიტექტორ-რესტავრატორი მ. დვალის).

რაც შეეხება მესამე ჯგუფს მას უნდა ემუშავა ბორჯომის რაიონში „მწვანე მონასტერზე“. სამუშაოდ სხვადასხვა მიზეზების გამო ძეგლზე მათი დასაქმება არ მოხერხდა და ჯგუფი დაიშალა. მომავალში

მას ვისზეც დამოკიდებულია სტუდენტების სამუშაოებით უზრუნველყოფა, მეტი პასუხისმგებლობა მართებთ ამ მხრივ.

უნდა გენახათ აბელიანის ეკლესიაზე, ეს მზისაგან გარუჯული ბიჭები და გოგონები როგორ მონაწილეობენ და ერთუზიანობით შრომობდნენ, როგორ მიაგორებდნენ გადამონგრეულ სამხრეთის კედლის დიდი ზომის ქვებს და ცალკე აწყობდნენ შემდეგში მათი ხელახლად გამოყენებისათვის, როგორ ეზიდებოდნენ ჩამონგრეულ გუმბათის ქვალორს და სხვა. „აბელიანს“ ეკლესიაზე საშუალების დამთავრების შემდეგ პირველმა ჯგუფმა მუშაობა გააგრძელა „უფლისციხეზე“, სადაც ასევე განმედიო საშუალები ჩატარდა.

წარმატებით იმუშავა მეორე ჯგუფმაც სოფ. ძველი გაეაზის „ღვთისმშობლის ეკლესიაზე“. ძველის გუმბათი შეგნიდან და გარედან განმინდა კირის საფარისაგან. ტაძრის ერთ-ერთი ოთახი ძველი იატაკის მოჭებნის მიზნით გაითხარა და იქიდან დიდი მოცულობის მინა იქნა გამოყრილი. ტაძარს მოაცილეს კედლებზე მიყრილი მინა.

მალე გაზაფხულაც გვესტუმრება. სტუდენტური გაერთიანების გამგეობა მოუხმობს ძველ გამობრმედილ სტუდენტებთან ერთად ახალბედებსაც. ისინი წინასწარ მოემზადებიან ახალი საზაფხულო სეზონისათვის. თბილისელ სტუდენტებს მხარი უნდა აუბან რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, მით უმეტეს ამჟამად გაშლილი სარესტავრაციო-საკონსერვაციო საშუალები ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონში მიმდინარეობს.

АННОТАЦИИ

Р. МЕПИСАШВИЛИ

ТРЕХЦЕРКОВНАЯ БАЗИЛИКА В СЕЛ. ЦХВАРИЧАМИА

Церковь, именуемая «Диди сакдари», расположена в лесу над сел. Цхваричамиа. Она возведена на вершине горы, стоит на постаменте, укрепленном высокой подпорной стеной.

Трехцерковная базилика выстроена из булыги, выложенной на фасадах ровными рядами, а также из ширими и кирпича. Памятник выделяется высокими стройными пропорциями, подчеркнутыми высоким восточным окном, а также убором продольных

стен парными, выведенными кирпичем, пристенными арками, имеет двухпролетный вход с юга. Особенно примечательно здание решением западной части обхода с куполом на тропях, в котором выведен кладкой крест. Купол покрыт общей со средней церковью двухскатной кровлей. Памятник представляет очень интересный пример архитектуры исторической провинции Грузии — Кахети VIII — IX веков.

А. КАЛДАНИ

ЗАМОК ТОРГВА В МУЦО

В статье рассматривается малоизвестный памятник, расположенный на окраине дер. Муцо, в бассейне р. Ардоти.

Анализируемое башенное жилище характеризуется небольшими абсолютными размерами, однако очень удобное расположение делало его

владельца господином близлежащей деревни. Что же касается боевой башни, она господствует над дорогой, проходящей в ущелье р. Ардоти.

В процессе борьбы личности за завоевания социальных прерогатив описанные здания по-видимому играли значительную роль.

Дж. САГИНАДЗЕ

БАЗИЛИКА ГОНИ

Автор дает детальное описание одностолпной базиликальной церкви, находящейся в Цагерском районе близ села Твиши. Церковь недостаточно изучена, исторических сведений о ней не имеем.

Вследствии тщательного изучения архитектурного строения, автор уста-

навливает, что алтарь относится к X—XII вв., а церковь датируется VII—VIII вв.

Археологические расследования, которые предвидятся в ближайшем будущем, откроют многое о богатом историческом прошлом этой церкви.

Н. ЦАНАВА, Н. ТОДУА, Л. ТОПУРИЯ, М. ГАМКРЕЛИДZE,
Н. ШИЛАКАДZE



РАСТЕНИЯ, ВЫЗЫВАЮЩИЕ БИОТИЧЕСКУЮ ЭРОЗИЮ «МЦВАНЕ МОНАСТЕРИ» («ЗЕЛЕНЫЙ МОНАСТЫРЬ») И БОРЬБА С НИМИ

При Изучении «Мцване монастыри», памятника IX-X века, выяснилось, что церковь и колокольня населены растениями, которые составляют 41 вид, 36 родов из 30 семейств. Для их уничтожения мы использовали в основном гербициды:

Тордон 22-К и 2,4-Д аминевую соль.

Результат положительный.

Особый интерес вызывает открытие нового ядохимиката, который уничтожает всякого рода мох в течение тридцати минут.

Дж. АПАКИДZE

НОВЫЕ НАХОДКИ БРОНЗОВЫХ ТОПОРОВ В АБХАЗИИ (ЗАПАДНАЯ ГРУЗИЯ)

В статье описаны новые случайные находки бронзовых топоров, так называемого «колхидо-кобанского» типа (XIV—VII вв. до н. э.), обнаруженные при различных обстоятельствах за последние 10 лет, в Западной Грузии, в частности в Абхазской АССР. Автором составлена археологическая

карта данного региона, на которую нанесены все известные случаи находок бронзовых топоров. Высказаны мнения о стиле и характере ornamentации некоторых гравированных топоров.

Новые находки позволяют выделить локальные районы Колхской культуры.

А. ТУГУШИ

О РАСШИФРОВКЕ И ДАТИРОВКЕ ОДНОЙ НАДПИСИ

С привлечением исторических письменных источников автор статьи расшифровывает имя Даднани (Озбер), которое упоминается в древнегрузинской надписи (выполненной Асомтавруди), найденной в церкви в 1955 го-

ду, близ Очамчире. Эриставт-Эристави Озбер Даднани, как выяснилось, был современником царя Грузии Деметре II Самопожертвователя (1271 — 1289 гг.).

Р. ХВИСТАНИ

ПЕРСТЕНЬ-ПЕЧАТЬ С ИЗОБРАЖЕНИЕМ АХИЛЛЕВСА ИЗ ТАГИЛОНИ

В Галском музее хранится перстень-печатка с несомкнутыми цитками светло-желтого листового золота с камнем красноватого сердолика,

недавно случайно найденный в селе Тагилони.

На камне изображение юного обнаженного Ахиллеуса, сидящего на



пятиугольной грифонообразной скамье без спинки против щита (I), возвышающегося на столбе. В правой руке у него меч, левой опирается на скамью. На голове обруч со светилом.

По форме и общему стилю изображения перстень-печать датируется

III в. до н. э. Возможно, он представляет правовую печать-инсигнию.

Т. БИБИЛУРИ

ИНТЕРЕСНЫЕ ПОГРЕБАЛЬНЫЕ КОМПЛЕКСЫ ИЗ МЦХЕТА

В статье дается анализ погребального комплекса, который был открыт на одном из самых массовых могильников Великой Мцхеты и вообще Картлийского царства — Самтавро.

Рассматриваемый комплекс (кирпичное погребение № 605) по своему устройству не отличается от других погребений данного типа. Погребение парное, последовательное. Первый остов (женский) был в № 0 части погребения, а на высвободившемся месте был погребен второй покойник — (мужчина). Он был уложен на спину, в вытянутом положении, головой на запад, руки — на лобке.

Погребальный инвентарь делится на две группы; первую группу составляют памятники местного, ибе-

рийского златокузнечества (золотые серьги, золотые нашивные бляшки и пуговицы); вторую — предметы привезенные извне (перстни с геммами, на которых изображены Артемида, Тихе-фортуна, орел — символ Юпитера, главного божества Римской империи и войска и т. д.).

Рассматриваемый погребальный комплекс, на основе дифференцированного анализа инвентаря, а также сопоставлением параллельного материала, хорошо датируется второй половиной III в. н. э.

Вышеописанное, и ряд других христианских погребений данного типа дает право предполагать существование христианских общин на территории Великой Мцхеты еще в III веке.

Т. АБРАМИШВИЛИ

КЛАД ИЗ СЕЛА САРАЧЛО

В статье говорится о кладе серебряных монет, (10) найденных в селе Сарачло, Болнисского района, во время очистки территории церкви. Все 10 монет клада являются гексадрахмами и отчеканены в Византии после проведенной императором Ираклием финансовой реформы. Монеты отчекане-

ны во время двоецарствия Ираклия и Константина в 615—632 гг.

Клад, вероятно, был захоронен в 30-х годах VII века, что лишний раз подтверждает политическую и экономическую связь с Византией как Восточной так и Западной Грузии.

Т. НАЦВЛИШВИЛИ

ВТОРАЯ РЕСПУБЛИКАНСКАЯ ВЫСТАВКА МЕДАЛЕЙ

Недавно в залах выставки Дома художника открылась Вторая Республиканская выставка грузинских

медалей, посвященная 60-летию СССР.

Тематика, представленных на вы-



ставке медалей была очень разнообразна и интересна. Она отражала все значительные моменты нашей жизни в области искусства, спорта, труда. Были представлены медали с портре-

тами выдающихся людей, посвященные юбилейным датам. Эта выставка послужит дальнейшему развитию этого интересного вида прикладного искусства.

З. СИХАРУЛИДЗЕ

УДАБНО

Автор рассматривает этимологическое значение слова «даба» в древних

памятниках грузинской письменности.

Б. ПАПАШВИЛИ

ЦЕРКОВЬ В СЕЛЕ НИЧБИСИ

Церковь «св. Николоза», построенная в XVII веке в селе Шуа Ничбиси сильно повреждена, обрушена крыша и дождь смывает остатки стеной росписи, расхищены тесанные камни внешней облицовки.

Жители села, особенно молодежь, заинтересованы в восстановлении в художественном и историческом смысле церкви и ждут поддержки от руководящих органов охраны памятников культуры.

Д. КАЦИТАДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ СЕЛА ХОТЕВИ

Село Хотевы находится в Амбролаурском районе. Впервые о нем упоминается в письменном памятнике XI века «Никорцидиси дацерили». Со второй половины XVII века Хотевы входят в феодальное владение княжеского рода Цулукидзе. В 1676 г. Мераб Цулукидзе в честь Спасителя строит церковь, которую описали в своих трудах М. Броссе, Китсадзе, Е. Таканшвили, Г. Бочоридзе. Церковь имела строительные надписи, интерьер церквей был богато расписан портретами Мераба Цулукидзе и его жены Анны — доче-

ри Чиджавадзе, Датуны Цулукидзе, Марех — дочери Эристава, Георгия — сына Мераба Цулукидзе и его жены Нестан Дареджан — дочери Чиковани, Николоза Донадзе и др.

В с. Хотевы доныне существует сильно пострадавшая двухэтажная крепость, которая была сооружена, вероятно, во второй половине XVII века.

С. Хотевы находилось на перекрестке дорог. Оно являлось одним из значительных торговых пунктов Нижней Рачи.

R. MEPISASHVILI

TRIPLE-CHURCH BAZILICAN MONUMENT IN THE VILLAGE OF -TSKHVARICHAMIA-

Monument called «Didi Sakdāri» is situated in the forest of the village «Tskhvarichamia».

Considering the plan, the compositional arrangement, the treatment of architectu-

ral forms and decorative design of the facade, the author similarity of the church with the group of Kakhetian triple-church bazilica.

A. KALDANI

THE TOWER OF TORGVA FROM THE VILLAGE OF MUSTO

Two towers, different in purpose and function erected in the outskirts of the village of Musto.

One of them had a defensive function and the other was used as a dwelling-house. Both towers are connected with

the name of Torgva – the national hero, the defender of Khevsureti.

The examination of the towers and the analysis of the folklore material enabled the author to give the general portrait of the historical person-Torgva.

I. SAGINADZE

BAZILICAN CHURCH «GONI»

The author gives a detailed description of a one-naved basilican church boni, situated in the village of Tvishi, Tsageri region. It is an unknown monument and is not mentioned in the annals.

The thorough study of the architectural design of the monument led the author

to the assumption that the altar belongs to the 10th-11th and the church itself was built in the 7th-8th century.

The further archaeological investigations, planned for the nearest future, will bring to light many interesting historical facts concerning the church.

T. BIBILURI

AN INTERESTING SEPULCHRAL COMPLEX FROM MTSKHETA

In the article a detailed analysis of a sepulchral complex revealed in the town of Mtskheta is given. The ritual survice is carried out by christian rules and the sepulchral doesn't differ much from others of the same type. The sepulture is double and successive. The first skeleton is of a woman, the second – of a man.

According to the provenance sepulchr-

al inventory is divided into two groups: the first group includes some articles of a local, Iberian metalworking and the second group includes of foreign-made articles.

The differentiatonal analysis of the sepulchral complex in question has shown that it dates back to the second half of the 3rd century.

TREASURE FROM THE VILLAGE OF SARACHLO

The article deals with the treasure, including ten silver coins, which was revealed in the village of Sarachlo.

All the ten monents are Byzantine hexadrachms and are coined after the financial reform carried out during the dual power of the Heraclius and Constantine between 615-632.

The unearthed treasure burried in the 30-ies of the 7th century is one more proof of the already ascertained fact that Byzantine coins were in circulated in Georgia on the basis of economic-political relationship of the two countries.

T. NATSVLISHVILI

THE 2nd REPUBLIC EXHIBITION OF MEDALS

Not long ago there was held the 2nd republic exhibition of medals.

This arrangment aroused a wide interest among the visitors.

N. TSANAVA, N. TODUA, L. TOPURIA, M. GAMKRELIDZE, N. SHILAKADZE

PLANTS CAUSING BIOTIC EROSION OF THE CHURCH OF «MTSVANE MONASTERY» (GREEN MONASTERY) AND STRUGLE AGAINST THEM

The 10th century one-naved bazi Pican church «Mtsvane Monastery» from the village of Borzhomi has undergone a careful study lately. As it turned out, the church was covered with various plants causing erosion—all in all of 41 kinds, of 36 genera, representatives of 30 families.

To destruct them two kinds of herbicides were used.

The results are positive.

The opening of the new chemical weed-killer, which destroys mosses of all kinds in 30 minutes, is also of great interest.

J. APAKIDZE

NEW FINDS OF BRONZE AXES IN ABKHAZIA

(WESTERN GEORGIA)

The paper discusses new finds of bronze axes of the so-called Colchian-Koban type (14th-7th cc. B. C), made over the past decade. The axes have been found accidentally under various circumstances in Western Georgia, in particular the Abkhazia ASSR. The author has compiled an

archaeological map of the region in question, indicating all the known cases of discovery of bronze axes. Views are expressed regarding the style and character of ornamentation of same engraved axes. The new finds permit the identification of local areas of Colchian culture.

A. TUGUSHI

FOR DATING AND INTERPRETATION OF THE ANCIENT INSCRIPTION

By bringing historical documents, the author of the issue interprets the neglected proper name Ozbed of Eristavi-Eristavi Dadiani in the ancient Georgian inscription made in Asomtavruli script. The stone was found in the church near the village of Ochamchire in 1935.

R. KHVISTANI

A SEAL-RING WITH THE IMAGE OF ACHILLES FROM TAGILONI

A gold seal-ring with reddish cornelian, which was recently found in the village of Tagiloni is preserved at the Gali museum of regional studies.

The naked figure of young Achilles sitting on a griffinlike chair is depicted on the ring. Achilles, holding a sword in his right hand is leaning on the chair with his left one.

According to the form and the common style of the image, the seal-ring dates back to the 3rd century B. C.

Z. SIKHARULIDZE

•UDABNO•

The author deals the meaning of the word •Udabno• in the old Georgian literature.

B. PAPIASHVILI

THE CHURCH OF NICHBISI

The 17th century church of •St. George• in the village of Shua Nichbisi is greatly damaged. The roof has collapsed and rains wash off the remains of wall-paintings.

The hewn ornamented stones from the church are either destroyed or plundered.

The youth and the whole population of the village are interested in the immediate restoration of the historical monument in question and turn to the authorities of Protection of cultural monuments for

D. KATSITADZE

FROM THE HISTORY OF THE VILLAGE OF KHOTEVI

The village of Khotevi is situated near the town Ambrolauri.

From the XVII century the village was the residence of prince Tsulukidze. In 1676 Year the church was built by Merab Tsulukidze. The church had supercription,

interior. It was painted by portraits of Merab Tsulukidze and his wife Anna, his son George and daughter - in - law Nestan-Darredzan and etc.

There is a castle built in the XVII century in the village of Khotevi.

სარედაქციო კოლეჯია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ გვირიძე, ირაკლი გოლჭვაძე (პ/მ, ჭიჭიანი), ოთარ თაყაიშვილი, ირაკლი ჯაფარიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, ოთარ სანთლიძე, თენგიზ ფერაძე, ვიოლეტი ღიბანი, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი
რედაქტორი — თენგიზ ფერაძე

Редактор серии Ираклий Цицишвили
Редактор Тенгиз Ферაძე

განმომცემი საერთაშორისო სავაჭრო ბანკი

Серия: Памятники материальной культуры

Выходит на общественных началах

«ДЗЕГЛИС МЕГОБАРИ»

(друзья памятников культуры)

Сборник шестьдесят второй

(на грузинском языке)

გადაეცა წარმოებას 16. X. 82 წ., ხელმოწერილია დამბევედა 4. III. 83 წ. ფიზიკურ ფორმასა ჩაბეჭდვით, 4,5. სადრ.-საგამომცემლო თაბაში 5. ასაწივობის ზომა 7x11,5. ქაღალდის ზომა 70x108¹/₁₆ რედაქციის მისამართი: შავთელის ქ. № 5/7, ტელ. 93-56-14.

ფასი 1 ლარი.

Цена 1 руб.

№ 00340

ტირაჟი 3.000

შეკვ- 703

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლეონის ქ. № 14.

Тип. изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, № 14.

